ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

29 იანვრიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
ნიკო
ნიკოლაძე
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2013 №24 (6025) ფასი: 30 თეთრი

# რა კავშირი აქვს ალასანიას უგულავასთან



რამდენჯერ მოატყუა თავდაცვის მინისტრმა პრემიერი

— გვ. 2 —



## გია ცაგარეიშვილი: „სააკაშვილმა ბებია ევროსაბჭოში გაასეირნა“



გვ.3

„ერთი აღა-მაჰმად-ხანი დაბრუნდება და მეორე — ნაციონალები“

# ციხეებში ფარული კამერები აღმოაჩინეს

გვ.4

## კოტე მარჯანიშვილის მემუარები საჯაროა



გვ.12

## ვანო ჩხარტიშვილი საქართველოში ბრუნდება

ბიზნესმენი პატარკაციშვილის ქვრივს მოლაპარაკებას სთავაზობს

გვ.5





## უჩა ნანუაშვილი: „თენგიზ გუნავას საქმეში აშკარა დარღვევებია“

გვ.2



„სააკაშვილის ქმედებებზე პასუხისმგებლობას „ქართულ ოცნებას“ ვაკისრებთ“

გვ.3



მთავრობის სხდომა არასრული შემადგენლობით ჩატარდა

გვ.6

23 იანვრიდან!
„ახალი თაობა“
+
მარია კიური
8 ლარი




9 771987 938006

6 ავტობუსების მძღოლები შესაძლოა გაიფიცონ

2 გამოკითხულთა უმრავლესობას ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის არსებობის არ სჯერა

6 კომპანია „ბარამბოს“ უძრავი ქონება დაყადაღდა

2 მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოს შეიარაღება „რაგატკების“ ამარა აღარ უნდა დარჩეს“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# უჩა ნანუაშვილი: „თენგიზ გუნავას საქმეში აშკარა დარღვევებია“

ნათია ხურცილავა

სახალხო დამცველმა გუშინ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე სახალხო დამცველმა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სამომავლო პრიორიტეტების შესახებ ისაუბრა. ომბუდსმენმა ელჩებს გააცნო სახალხო დამცველის ოფისის პრიორიტეტებიც.

ომბუდსმენის განცხადებით, შეხვედრის მიზანი საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ძირითადი გეგმებისა და ინიციატივის გაცნობაა.



— ეს არის პირველი შეხვედრა. დიპლომატიურ კორპუსს გავაცანით კონკრეტული ფაქტები ადამიანის უფლებათა დარღვევის სფეროში, ვისაუბრეთ სახალხო დამცველის ხედვებსა და გეგმებზე. იმ ძირითად მიმართულებაზე, რასაც უახლოესი თვეების განმავლობაში განვახორციელებთ. მათ შორის საუბარი შეეხო რეგიონებში ჩვენი ოფისის მხარდაჭერის გაძლიერებას, — განაცხადა ნანუაშვილმა.

უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებთან ბოლოდროინდელ გახმაურებულ დაკავებებზე ისუბრა. ომბუდსმენის განაცხადებით, აღნიშნულ დაკავებებთან დაკავშირებით გარკვეული დარღვევებია გამოვლენილი.

როგორც ნანუაშვილმა აღნიშნა, ბოლოდროინდელ გახმაურებულ დაკავებებზე სახალხო დამცველი დასკვნებს უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნებს. უჩა ნანუაშვილმა პრესასთან დარღვევის ერთი კონკრეტული მაგალითი დაასახელა და აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის, თენგიზ გუნავას დაკავების საქმეში აშკარაა დარღვევები.

— არის გარკვეული პროცედურული დარღვევები საქმეში. ამის შესახებ დეტალურად რამდენიმე დღის შემდეგ ვისაუბრებ, როდესაც ჩვენ გარკვეული დასკვნა გვექნება ამ საქმესთან დაკავშირებით. მალე გამოქვეყნდება დასკვნები, რომელიც სახალხო დამცველმა მოამზადა და ეხება გუნავას, ახალაიასა და სხვა გახმაურებული დაკავებების საქმეებს. მიმდინარეობს სხვა საქმეების შესწავლა და დასკვნა ძალიან მალე გახდება ცნობილი. დასკვნა ეხება იმ პროცედურულ დარღვევებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა დაკავებების პროცესში. გარკვეულ საქმეებზე დარღვევები გამოვლენილია, მათ შორის — თენგიზ გუნავას საქმეში აშკარაა დარღვევები, — განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველმა გუშინ ჟურნალისტებთან ასევე ისაუბრა შეწყალების კომისიის ახალ შემადგენლობაზე. ომბუდსმენის განცხადებით, ახალ შემადგენლობაში დეპუტატებიც უნდა იყვნენ წარმოდგენილი.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, იმ საქმეებზე, რომელსაც შეწყალების კომისია განიხილავს, მაქსიმალური კონტროლი უნდა განხორციელდეს ხელისუფლების სხვადასხვა შტოსა და საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან.

— რაღაც პარიტეტი უნდა იყოს დაცული და კომისიაში შედიოდნენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები, ისევე, როგორც საზოგადოების წარმომადგენლები. საქმეები, რომელსაც კომისია განიხილავს, შესწავლილი უნდა იქნეს მაქსიმალურად კონტროლის ქვეშ, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

შეწყალების საკითხთა კომისიის ახალი შემადგენლობა უკვე გახდა ცნობილი. ასევე ცნობილია, რომ პრეზიდენტმა შესაბამისი ბრძანება გამოსცა.

ბრძანებულების ჩამონათვალში მითითებული არ არის სახალხო დამცველი, თუმცა არსებული ინფორმაციით, კომისიის დებულება ავტომატურად ითვალისწინებს კომისიაში ომბუდსმენის შეყვანას.

ასევე ცნობილია, რომ წინა კომისიისგან განსხვავებით, ახალ შემადგენლობაში არ არიან მინისტრები და დეპუტატები.

# რა კავშირი აქვს ალასანიას უგულავასთან

## რამდენჯერ მოატყუა თავდაცვის მინისტრმა პრემიერი

ირაკლი ალასანიას გარშემო მითქმა-მოთქმა არ წყდება. ოფიციალური განმარტება მისი ვიცე-პრემიერობიდან გადაყენების შესახებ არავის არ სჯერა. ყველა აღიარებს, რომ მას ჯარში ბევრი საქმე აქვს, მაგრამ ამაში ვიცე-პრემიერობა ხელს ნამდვილად არ უშლიდა. ალასანიას ვიცე-პრემიერობა მისმა საპრეზიდენტო ამბიციებმა და ჭორებმა შეიწირა.

თავდაცვის მინისტრს არასდროს დაუმალავს, რომ პრეზიდენტობა სურდა. თავიდან ის ითვლებოდა კიდევაც მეოცნებეთა საპრეზიდენტო კანდიდატად. ერთ მშვენიერ დღეს კი ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ პრეზიდენტად ვახტანგ ხმალაძეს ისურვებდა.

ამის შემდეგ ეს თემა დაიხურა. ერთ მშვენიერ დღეს კი ირაკლი ალასანიამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერიდან გვამცნო, რომ მას პრემიერთან მძიმე საუბარი ჰქონდა. მეორე დილით გამოიცა პრემიერის ბრძანება ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან გათავისუფლების შესახებ. ახლა ორივე მხარე ამტკიცებს, რომ ეს ერთმანეთთან შეთანხმებით მოხდა.

და მაინც, რა მოხდა სინამდვილეში? „ახალ თაობას“ სარწმუნო წყარომ მიაწოდა ცნობა, რომ ალასანიასა და ივანიშვილს შორის მძიმე საუბარი მართლაც შედგა და ამას მთელი მთავრობა უყურებდა.

იმ სხდომაზე ივანიშვილს ალასანიასთვის საყვედური უთქვამს — პრეზიდენტობა თუ გინდოდა, ჩემთვის არ უნდა გეთქვაო. ალასანიამ პრემიერს სთხოვა ეთქვა, თუ ვინ მიუტანა მას ეს ინფორმაცია.

თავდაცვის მინისტრმა ეჭვი გამოთქვა, რომ ეს ჭორი ივანიშვილს გია ხუხაშვილმა მიუცუნცულა. ივანიშვილმა ამ დროს მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი მოიკითხა.

— სად არის პეტრიაშვილი? მან მითხრა, რომ წინა მთავრობის სხდომაზე შენ იმიტომ არ იყავი, სამხედრო ბაზებს რომ ათვალიერებდი. სინამდვილეში კი დუბაიში ყოფილხარ. თუ დუბაიში მიდიოდი, გეთქვა, დამალვა რა საჭირო იყო, — უთხრა ივანიშვილმა ალასანიას.



თავდაცვის მინისტრმა ეს ფაქტიც უარყო და მას ჭორი უწოდა. ივანიშვილმა ეს ეტყობა ჭორად არ მიიჩნია, რადგანაც მას ერთი თანამდებობაც ჩამოართვა. ალასანიაზე ისევ ავრცელებენ ახალ ჭორებს. ამბობენ, რომ ის გიგი უგულავასთან ხმაშეუწყობილად მოქმედებს. ამბობენ, რომ მათ შორის კონსულტაციებიც მიმდინარეობს. ამას ბუნებრივია, არც ერთი მხარე არ ადასტურებს.

ჭორიკნები კი სხვას ამტკიცებენ. საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს თამთა კუპრაძე, რომელიც ალასანიას ოჯახის ახლობელია. ამის პარალელურად კუპრაძე უგულავას ცოლის, ლელა კილაძის დაქალია. შესაძლოა ეს ჭორი აქედან მოდის.

გაირკვა, რომ სანამ ალასანია ლონდონში გაფრინდებოდა, ერთი დღით ადრე პარიზში გაფრინდა ლელა კილაძე, თავის სადაქალოსთან ერთად. მათ შორის იყო თამთა კუპრაძეც. მომდევნო დღეს კი დაქალებს პარიზში ჩააკითხა ვანო მერაბიშვილის ცოლმა, თაკო სალაყაიამ.

დაქალების პარიზში გასეირნება ალასანიასთან რა კავშირშია, ვერ გეტყვით. ფაქტი ისაა, რომ ბოლო დროს ლამის ყველაფერი თავდაცვის მინისტრს ბრალდება. უკვე აქტიურად მიდის საუბარი მის შეცვლაზე. ამის გაკეთება პრემიერს გაუჭირდება, რადგანაც თავდაცვის მინისტრის პოსტი პრეზიდენტთან უნდა შეათანხმოს. პრეზიდენტი კი ამ ეტაპზე ალასანიას არ შეელევა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის მართლა არსებობს დაპირისპირება.

ალასანიას დათვურ სამსახურს უწევს ნაციონალური მოძრაობა. მათ თავდაცვის მინისტრს ქება დაუწყეს. ეს კი არც ერთი არანაციონალისთვის სასარგებლო არ უნდა იყოს. განსაკუთრებით იმ ადამიანისთვის, რომელიც შესაძლოა საპრეზიდენტო კანდიდატი გახდეს.

ვნახოთ, მოხსნიან თუ არა ალასანიას თავდაცვის მინისტრობიდან. თუ ასე მოხდა, ამან ჯარში შესაძლოა უკმაყოფილება გამოიწვიოს, რადგანაც ჯარმა შეიყვარა ახალი მინისტრი. მისი რეიტინგი ბოლო დროს საგრძნობლად მატულობდა. ივანიშვილის კარზეც წამყვანი პოზიციები ეკავა. ეს ვიღაცებს არ მოეწონათ და ალასანიას ძირის გამოთხრა დაუწყეს. ამაში შესაძლოა რესპუბლიკელებიც იყვნენ გარეული.

„ახალი თაობა“

# მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოს შეიარაღება „რაგატკების“ ამარა აღარ უნდა დარჩეს“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გუშინ, გორში ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელებს შეხვდა.

სააკაშვილის განცხადებით, ის პროგრესი რაც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ბოლო წლებში განიცადა, თვალშისაცემია და დღეს საქართველოს ფაქტიურად სრულიად ახალი და ბრძოლისუნარიანი არმია ჰყავს.

„მე ავლანეთში, ჩვენს ჯარისკაცებთან ერთად ახალ წელს შევხვდი და საკუთარი თვალით ვნახე და გაოგნებული დავრჩი თუ როგორი ჯარისკაცები და ოფიცრები ჩამოგვიყალიბდნენ. ალბათ ნახეთ ტელევიზორში, რომ თალიბებმა იქ, ახალი წლის ღამეს ცეცხლი გახსნეს. მე ვუყურე ჩვენს ოფიცრებს, თუ როგორ დონეზე აძლევდნენ პასუხს მოწინაალმდეგეს ავტომატიზირებულად და სიმართლე გითხრათ არც მეგონა რომ ესენი ქართველები იყვნენ“ — განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, სარდლობის ნებართვით, მან ავლანეთში ღვინოც ჩაიტანა, თუმცა ის არცერთ ჯარისკაცს არ დაულევია.

პრეზიდენტმა აკადემიის მსმენელებს აჩვენა აგრეთვე ე.წ. „რაგატკა“ და განაცხადა, რომ ის თავდაცვის სამინისტროში სტუმრობისას, 2004 წელს აჩუქეს და მას დღემდე ინახავს.

„ეს იყო ჩვენი შეიარაღებული ძალების აღჭურვილობა 2004 წელს. დღეს კი ჩვენ გვაქვს საჰაერო დაცვის სისტემები, სახმელეთო დაცვის სისტემები და რაც მთავარია, დღეს ჩვენ გვაქვს პროგრამა აშშ-სთან, რომლის მიხედვითაც ჩვენი შეიარაღებული ძალები, უახლოეს ათწლეულებში, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება. საქართველო „რაგატკის“ ამარა აღარასდროს აღარ უნდა დარჩეს“ — განაცხადა სააკაშვილმა.

მანვე სამხედრო საწარმო „დელტას“ შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ დღეს საუბარი მიდის ამ საწარმოს თავდაცვის სამინისტროდან გასვლაზე, რაც დიდი შეცდომა იქნება და საქართველოს სამხედრო წარმოებას განადგურების პირამდე მიიყვანს.

პრეზიდენტის თქმითვე, „დელტაში“ წარმოებულ სამხედრო პროდუქციაზე, საქართველოს უკვე აქვს შეკვეთები კორეიდან და აზერბაიჯანიდან.

ნიუსპრესი

# ხაშურს ვალერი გელაშვილის ნათესავი დაალაგებს

ხაშურის ,,დასუფთავების სამსახურის“ უფროსად ზაალ ობოლაძე დაინიშნა, რომელიც ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის ვალერი გელაშვილის სიძეა. როგორც დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები აცხადებენ, საკადრო ცვლილებები, ჯერ-ჯერობით, მათზე არ ვრცელდება.

მანამდე დასუფთავების სამსახურს გიორგი მახათაძე ხელმძღვანელობდა. სამსახურიდან წავიდა ბუღალტერი ნატო თედიაშვილიც. მის ადგილზე ანა გელაშვილი მოიაზრება. ხაშურის გამგებლის პირველ მოადგილედ ირინა გელაშვილი დაინიშნა, რომელიც მანამდე ,,ქართული ოცნების“ ხაშურის შტაბს ხელმძღვანელობდა. ირინა გელაშვილი მაჟორიტართან ნათესაურ კავშირს უარყოფს.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი

# გიგი უგულავა პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს

მიკროავტობუსების მძღოლების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, თბილისის მერია მძღოლებსა და კომპანიას შორის არსებულ მოლაპარაკებაში ჩაერთო. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, მძღოლებთან გამართული შეხვედრის შედეგად, ერთ-ერთ ძირითად პრობლემად გადასახადის მაღალი განაკვეთი დასახელდა, რომლის გადახდაც მათ, როგორც ინდივიდუალურ მეწარმეებს უწევთ.

აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით, თბილისის მერმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა, რომლის თანახმად, მიკროავტობუსის მძღოლების საქმიანობა ფიქსირებული გადასახადით დაიბეგრება, ხოლო გადასახდელი თანხის მაქსიმალური ზღვარი ყოველთვიურად არაუმეტეს 10 ლარის ოდენობით განისაზღვრება.

ნიუსპრესი

# ირაკლი ალასანიამ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში შეხვედრები გამართა

გაერთიანებულ სამეფოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მიიღეს.

ირაკლი ალასანიამ შეხვედრები გამართა საერთაშორისო უსაფრთხოების სტრატეგიის საკითხებში თავდაცვის მდივნის მოადგილესთან ენდრიუ მურისონთან, უსაფრთხოების სექტორის განვითარების მრჩეველთა ჯგუფის უფროსის მოადგილესთან დევიდ კლარკთან და საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის დირექტორთან სტივ მაკარტისთან.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოს თავდაცვის უწყებასა და შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმებსაც. ბრიტანეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელებმა საქართველოს დელეგაციას შეიარაღებული ძალების რეფორმირების და ოპტიმიზაციის საკუთარი ხედვა გააცნეს.

„ძალიან საინტერესო იყო ბრიტანული მხარისთვის ჩვენი ხედვის მოსმენა, ჩვენთვის კი მათი გამოცდილების გაზიარება. ჩვენ ორმხრივ თანამშრომლობაზე შევთანხმდით. ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები და თავდაცვის სამინისტრო ძალიან მჭიდრო მხარდაჭერას აღმოუჩენს ჩვენს მიმდინარე რეფორმებს, ჩვენს შეიარაღებულ ძალებს. შევთანხმდით, რომ გვექნება თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში, ასევე, სხვადასხვა სამხედრო მიმართულებით, რომელიც უკავშირდება საერთო ღონისძიებებს ავღანეთში“ — განაცხადა ირაკლი ალასანიამ. თავდაცვის მინისტრის თქმით, შეხვედრაზე საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხებიც განიხილეს.

ნიუსპრესი

# გამოკითხულთა უმრავლესობას ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის არსებობის არ სჯერა

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 22 იანვრიდან 29 იანვრამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა, ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ქვეყანასი საბიუჯეტო კრიზისია — სანდოდ არ მიიჩნევს.

კითხვაზე — „რეალურად მიგაჩნიათ თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება ქვეყანაში არსებულ საბიუჯეტო კრიზისთან დაკავშირებით“, გამოკითხვაში მონაწილეთა 64,3 პროცენტმა უპასუხა, რომ ეს განცხადება რეალურად არ მიაჩნია, 32,1 პროცენტი კი საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებს.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, მონაწილეთა 3,6 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ცაგარეიშვილი: „სააკაშვილმა ბებია ევროსაბჭოში გაასეირნა“

## „ერთი აღა-მაჰმად-ხანი დაბრუნდება და მეორე - ნაციონალები“

შორენა მარსაგიშვილი

**მიხეილ სააკაშვილმა თავისი უცნაური ქმედებებითა და განცხადებებით ბევრჯერ გააოგნა ერი. მისი ერთ-ერთი უცნაურობა გახლავთ ის, რომ ბებიას დაატარებს სხვადასხვა ვიზიტებზე. იაპონიაში სუმოს საყურებლადაც კი წაიყვანა. ახლა კი გაირკვა, რომ სააკაშვილს ბებიამისი მზია სტრასბურგში, ევროსაბჭოს სესიაზე დასასწრებადაც წაუყვანია. რა სტატუსით დადის სააკაშვილის ბებია ოფიციალურ ვიზიტებზე, რას ემსახურება ნაციონალების ბოლოდროინდელი უზრდელური განცხადებები, დაბრუნდებიან თუ არა ისინი ხელისუფლებაში, ამის შესახებ „ახალ თაობას" დეპუტატი გია ცაგარეიშვილი ესაუბრება.**

***— 2 დღის წინ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ბებიამისი მზია ამნისტიის წინააღმდეგი იყო. ირკვევა, რომ იგივე მზია ევროსაბჭოშიც წაუყვანია პრეზიდენტს. ეს ყველაფერი ცოტა უცნაურია. თქვენ რას ფიქრობთ პრეზიდენტის ბებიის ფენომენზე?***

— ფსიქოლოგი არა ვარ, რომ ამ ფენომენზე სიღრმისეულად ვისაუბრო. ძალიან ცინიკურია ის ყველაფერი, რასაც სააკაშვილი აკეთებდა და აკეთებს ამ 9 წლის მანძილზე. ის იმასაც კი ვერ მიხვდა, რომ მისი პოლიტიკური გუნდის მარცხი ამგვარმა ქმედებებმა გამოიწვია. ამ შეცდომებიდან მან დასკვნები ვერ გამოიტანა. მე მართლა არ მესმის, რას უნდა ემსახურებოდეს პრეზიდენტის ბებიის ან მშობლების წაყვანა ოფიციალურ ვიზიტებში. ეტყობა, ქალბატონ ბებიას უყვარს მოგზაურობა. რამდენად თავსებადია სახელმწიფო ვიზიტი და გართობა ერთმანეთთან, ეს ჯობია ბებიას და შვილიშვილს ჰკითხოთ.

***— მსგავსი რამე თუ გაუკეთებია რომელიმე ქვეყნის ლიდერს?***

— სახელმწიფო ვიზიტების დროს მსგავსი რამე არის წარმოუდგენელი და მიუღებელი. სააკაშვილი არ გახლავთ ერთადერთი პრეზიდენტი, რომელსაც ბებია ჰყავს ცოცხალი. ამ ხალხს მშობლებიც ჯანმრთელად ჰყავთ, მაგრამ ოფიციალურ ვიზიტებში თან არსად არ დაჰყავთ. ისიც გასარკვევია, რა სახსრებით დაჰყავს სააკაშვილს ბებია აქეთ-იქით. მე დეტალურად გამოვკითხე ჩემს კოლეგებს თუ რა ხდებოდა ევროსაბჭოში, როგორც მათ მითხრეს, პრეზიდენტმა იქ საკმაოდ დიდი დელეგაცია წაიყვანაო.

***— რა საჭირო იყო ამხელა დელეგაცია?***

— ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო გაბრძოლებისთვის ემზადებოდნენ. ისინი მზად იყვნენ, შეურაცხყოფა მიეყენებინათ თავისი ქვეყნისთვის. კანდელაკისნაირი უსახური ტიპები ყველაფერს აკეთებდნენ მიზნის მისაღწევად.

***— ამ პროცესებში რა როლი ეკისრებოდა პრეზიდენტის ბებიას?***

— ამას ნამდვილად ვერ გეტყვით. როგორც თავში უკვე მოგახსენეთ, განსაცვიფრებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეს ფაქტი ჩვენი ყოფილი ხელისუფლების სიველურეზე მიუთითებს. ველურობის გარდა სხვა რა უნდა ეწოდოს, როცა პრეზიდენტის ბებია ოფიციალურ ვიზიტებში დადის, ოჯახის წევრები კი ლამის მაფიოზებად არიან ქცეული. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ სადღაც შუა საუკუნეებში ვართ ჩარჩენილი. ეს ახლოსაც კი არ არის იმ ევროპულ ღირებულებებთან, რომელზეც სააკაშვილი ამ წლების განმავლობაში ქადაგებდა და მიისწრაფვოდა.

***— დარწმუნებული ხართ, რომ მიისწრაფვოდა?***

— სიტყვით მიისწრაფვოდა, საქმით კი... ერთი წუთით წარმოვიდგინოთ რა მოხდებოდა, რომელიმე ლიდერს ვიზიტის დროს თავისი ბებია რომ წაეყვანა.

***— ოპონენტებმა შესაძლოა გვითხრან, რომ პირველ პირს თუკი მეუღლის წაყვანა შეუძლია, რატომ არ უნდა შეეძლოს ბებიის წაყვანა?***

— მეუღლის წაყვანა ოფიციალური ვიზიტის დროს მიღებული ფორმაა და პროტოკოლით არის გათვალისწინებული. ეს ტრადიცია საუკუნეებს ითვლის, მაგრამ რა შუაშია ბებია? რა სენტიმენტებია? ბებოს უყვარს შვილიშვილი და შვილიშვილს უყვარს ბებიკო! მინდა გითხრათ, რომ ბებიაჩემი მეც სიგიჟემდე მიყვარს და ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს, მაგრამ მიხსენებია სადმე ბებია? მე და სააკაშვილს მოვლენების ესთეტიკური აღქმა აბსოლუტურად სხვადასხვა გვაქვს. იგივე შემიძლია ვთქვა გიგი უგულავაზე, გიგა ბოკერიასა და მის მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილზე. ეს უკანასკნელი საერთოდ ყოველგვარ საზღვრებს გასცდა.

***— რას გულისხმობთ?***

— მის საჯარო განცხადებებს, რასაც ის ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს, აბსოლუტურად წარმოუდგენელია. საოცარ შედარებებსა და ეპითეტებზე გადავიდა გიგი უგულავა.

***— თბილისის მერი და სხვა ნაციონალები უკვე უზრდელობაზე გადავიდნენ. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?***

— რასთან გვაქვს საქმე და, უბრალოდ, უზრდელობასთან. ამათ უზრდელობა ახლა არ დაუწყიათ. 9 წელია უზრდელობენ. თავიდან ეს ყველაფერი რომ დაიწყეს, ყური არავინ არ აუწია. შერჩათ ეს ყველაფერი და ახლა ჩვევაში გადაეზარდათ. ისინი ერთ თარგზე არიან მოჭრილები და ერთნაირად უზრდელობენ. ჩემთვის, პირადად, წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ქალი ისე მეტყველებდეს, როგორც ქალბატონი ჩერგოლეიშვილი. რისი მანიშნებელია ეს ყველაფერი, ევროპულობის? დავიჯერო ასე იქცევიან ევროპელი ლიდერები, რომლებსაც ისინი „ეთაყვანებიან“. მეეჭვება, რომელიმე ევროპელმა ლიდერმა ასე მოიხსენიოს თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, როგორც ესენი იხსენიებენ.

***— ზემოთ აღნიშნეთ, რომ უზრდელობა შერჩათ ნაციონალებსო. ახლა რატომ პატიობთ ასეთ განცხადებებს? მოსახლეობა ამის გამო „ქართული ოცნების“ მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავს.***

— მე პრაგმატული ადამიანი ვარ და მიმაჩნია, რომ პოლიტიკურ ბაზარზე ის უნდა გაყიდო, რაც კარგად იყიდება. ოღონდ არ შეიძლება ქორვაჭარივით იქცეოდე. ხალხს არ უნდა მიასაღო ყველაფერი. მესმის, რომ ხალხი განაწყენებულია, ნაციონალებს იგივეთი რომ არ ვპასუხობთ. შესაძლოა, არ სწყინთ, რომ უზრდელ ნაციონალებს არ ვბეგვავთ. ისინი იმსახურებენ ასეთ მოქცევას.

***— თუ იცით, რომ ხალხი ამას მოითხოვს, რატომ არ მიბეგვავთ?***

— მიბეგვას არაფერი არ უნდა, მაგრამ ასე არ მოვიქცევით.

***— რატომ?***

— მაშინ რა განსხვავება იქნება ჩვენსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის. ჩვენ გავიარეთ 7 ნოემბრისა და 26 მაისის სასტიკი დარბევები. ვნახეთ, როგორ ხოცავდნენ უდანაშაულო ადამიანებს ქუჩაში. ვხედავდით, როგორ უსწორდებოდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს. ეს საქართველოში აღარ უნდა განმეორდეს. საზოგადოებამაც უარი თქვა ძალადობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნებზე სხვა შედეგი დადგებოდა. ჩვენ არ ვაპირებთ ოპოზიციას მოვექცეთ ისე, როგორც ნაციონალები ექცეოდნენ თავიანთ ოპონენტებს.

***— ოპოზიციაში ალბათ ნაციონალებს გულისხმობთ?***

— კი. ოღონდ გული მწყდება, ნაციონალებს ოპოზიცია რომ ჰქვია. 9 წლის განმავლობაში ვიყავი ოპოზიცია. საქართველოს წინააღმდეგ არასდროს გამოვსულვარ და არც ჩემი ქვეყნის მტერი ვყოფილვარ ოდესმე. მიუხედავად იმისა, რომ ვებრძოდი სააკაშვილის რეჟიმს, ეს რეჟიმი საქართველოსთან არ გამიიგივებია. ვიცოდი, რომ პრეზიდენტი არის წარმავალი და ის ადრე თუ გვიან წავიდოდა. ნაციონალები კი ქვეყანას ლანძღავენ. ამით იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც სხედან. ასეთი განცხადებებით ხელისუფლებაში დაბრუნების უმნიშვნელო შანსიც კი დაკარგეს. ისიც კი საკითხავია, დარჩებიან თუ არა ქმედუნარიან პოლიტიკურ ძალად.

***— პარლამენტის ყოფილი სპიკერი დავით ბაქრაძე ამაყად აცხადებს, რომ ნაციონალები მალე ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდებიანო.***

— დავით ბაქრაძე და ნაციონალები ისე დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, როგორც აღა-მაჰმად-ხანი თბილისში.




***— დარწმუნებული ხართ, რომ არ დაბრუნდებიან?***

— ამაში ეჭვი არ მეპარება. ქართველი ხალხი არასდროს დაუშვებს, რომ ეს ნაძირალები ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

***— თქვენ ახლა ახსენეთ სიტყვა „ნაძირალები“. ყოველთვის მწვავე განცხადებებს აკეთებდით, მაგრამ ასეთი ტერმინი არ გამოგიყენებიათ.***

— გაგიკვირდათ? მე არ მახასიათებს ასეთი შეფასებები, მაგრამ სხვა შეფასებას არ იმსახურებენ. ქართველი ხალხი ამ ნაძირალების ხროვას კიდევ ერთ შანსს აღარ მისცემს. ეს ის ხალხია, რომლებიც ცოცხებით აუპატიურებდა თავის თანამოქალაქეებს. ეს ის კასტაა, რომლებიც პატიმრების მეუღლეებს აუპატიურებდნენ და ამას ვიდეოფირზე იღებდნენ. ეს კადრები კი პატიმრებთან შეჰქონდათ. მათ მიერ ჩადენილი საშინელებების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ასეთ ხალხს ხელისუფლებაში არავინ არ დააბრუნებს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ხელისუფლებაში მუდმივად იქნებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.

***— მუდმივად არც „ქართული ოცნება“ იქნება ხელისუფლებაში. ნაციონალებს იმედი აქვთ, რომ თქვენ ისე მოიქცევით, ხალხს მათ თავს მოანატრებთ.***

— მუდმივად ხელისუფლებაში ყოფნის სურვილი „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად არა აქვს. ჩვენ აუცილებლად შევიცვლებით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენ ნაციონალები არ ჩაგვანაცვლებენ. მეეჭვება რამე ისეთი ჩავიდინოთ, რომ ხალხს სააკაშვილი, გია ბარამიძე, მიშა მაჭავარიანი, გოკა გაბაშვილი და ნუგზარ წიკლაური მოვანატროთ. ამ ადამიანების დიდი ნაწილი ლამის 20 წელია ხელისუფლების სათავეშია. ამ ხალხმა ქვეყანა გააუბედურა და უკან დაბრუნებაზე ტყუილად ნუ ოცნებობენ.

# „სააკაშვილის ქმედებებზე პასუხისმგებლობას „ქართულ ოცნებას“ ვაკისრებთ“

## კოალიცია „ერთსულოვნება“ აქციებს პარლამენტის წინ მოაწყობს

შორენა მარსაგიშვილი

ჩვენი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი იმ კამპანიის შესახებ, რომელიც კოალიცია „ერთსულოვნებამ“ წამოიწყო. ისინი ითხოვენ, რომ მიხეილ სააკაშვილმა თანამდებობა დატოვოს. ამ უკანასკნელს 20 იანვარს ამოეწურა საპრეზიდენტო ვადა. კონსტიტუციის თანახმად საქართველო პრეზიდენტს 5 წლის ვადით ირჩევს. ეს ვადა სააკაშვილს 10 დღის წინ გაუვიდა.



„ერთსულოვნების“ წარმომადგენლებმა მთელი საქართველო მოიარეს და მილიონამდე ხელმოწერა შეაგროვეს. „ერთსულოვნება“ და მილიონი მოქალაქე მოითხოვს, რომ პრეზიდენტის მოვალეობა არჩევნებამდე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა შეასრულოს. ანცმა ნაციონალებმა თავის დროზე კონსტიტუციაში ჩაწერეს, რომ საპრეზიდენტო რჩევნები 2013 წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს.

საოცნებო პარლამენტი და მთავრობა სააკაშვილის იმპიჩმენტზე უარს ამბობენ. უფრო მეტიც, ახლა საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის მოსასმენად ემზადებიან. თებერვლის თვეში სააკაშვილი დეპუტატების წინაშე წარსდგება. ალბათ წარმოგიდგენიათ რა განცხადებებს გააკეთებს. მას ევროსაბჭოს ტრიბუნიდან არ შერცხვა ქვეყნის გალანძღვა და პარლამენტის ტრიბუნიდან საერთოდ ცოცხლად დაგვიმარხავს მთავრობას.

განსხვავება ის იქნება, რომ მანდატურებს ოპონენტების დაზელვის ბრძანებას ვეღარ მისცემს. და არც ნაციონალური ტაში იქნება ისეთი მქუხარე, როგორც შარშან იყო. სააკაშვილს დეპუტატებისგან ბევრი მწვავე განცხადების მოსმენაც მოუწევს.

კოალიცია „ერთსულოვნება“ მიიჩნევს, რომ ვადაგასულ სააკაშვილს არა აქვს უფლება პარლამენტის წინაშე პრეზიდენტის რანგში წარსდგეს. ისინი ამ დღეს პარლამენტთან აქციის მოწყობას გეგმავენ. მიაჩნიათ, რომ ვადაგასული პრეზიდენტი ქვეყნისთვის ძალიან საშიშია. მოსალოდნელ გართულებებზე ისინი პასუხისმგებლობას „ქართულ ოცნებას“ აკისრებენ.

გუშინ „ერთსულოვნების“ წარმომადგენლებმა საგანგებო მიმართვაც მიიღეს. რაკი მათ პოზიციას მილიონი მოქალაქე იზიარებს „ახალი თაობა“ ამ მიმართვას სრულად გთავაზობთ.

— დღეს, როცა ქვეყანას ჰყავს თვითმარქვია პრეზიდენტი, რომლის საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა საქართველოს კონსტიტუციის ძალით დასრულდა 2013 წლის 20 იანვარს.

დღეს, როცა დასავლეთის ქვეყნების გარკვეული პოლიტიკური წრეები, სამწუხაროდ ევროპული სტრუქტურტები საქართველოს მოსახლეობას გვაიძულებენ დავარღვიოთ საქართველოს კონსტიტუცია მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ.

დღეს, როცა ერთ პოლიტიკურ სექტად შეკრული ყოფილი ხელისუფლება, „ნაც.მოძრაობა, მიხეილ სააკაშვილი დაუპირისპირდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნებას.

დღეს, როცა მიხეილ სააკაშვილის, „ნაცმოძრაობის“ ყოველი წარმომადგენლის გამოსვლა ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ ეს არის მტრობა ქართველი ხალხისა და საქართველოს მიმართ, როცა „ნაციონალები“ იმდენად გათავხედდენ, რომ ღიად და საჯაროდ შეურაცხყოფას აყენებენ საქართველოს სულიერ მამას, , საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, ამ დროს ერთმანეთთან დაპირისპირება ქვეყნის ინტერესების ღალატის და ქვეყნის მაოხრებელი „ნაცმოძრაობისათვის“ პოლიტიკური სიცოცხლის გახანგრძლივების ტოლფასია.ჩვენი აზრით, სახელიმწიფოებრივად აზროვნებს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მიმდინარე ეტაპის უპირველეს ამოცანად თვლის ქვეყნის განთავისუფლებას „ნაციონალური“ ოკუპაციისაგან.

ყოველი ღირსების მქონე პარტიისათვის, ყოველი პოლიტიკოსისათვის, რომელიც ფიქრობს ქვეყანაზე და არა სახელისუფლო სკამზე, ყოველი არასამთავრობო ორგანიზაციისათვის, რომლისთვისაც მთავარია ქვეყანა და არა გრანტების მოპოვება — უპირველესი უნდა იყოს 2012 წლის პირველი ოქტომბრის მონაპოვრის დაცვა, ქვეყნის და ხალხის განთავისუფლება თვითმარქვია პრეზიდენტისაგან, ძალაუფლების მოყვარული პოლიტიკური პარტია „ნაცმოძრაობისაგან", იმ პოლიტიკური გაერთიანებისა და პოლიტიკოსებისაგან რომლებმაც გენოციდი მოუწყეს ქართველ ხალხს, ქვეყანაში დაამკვიდრეს ელიტური პოლიტიკური კორუფცია.

ჩვენ მთელი ქვეყნის, ჩვენი ქვეყნის მეგობრების, მსოფლიო საზოგადოებრიობის გასაგონად ვაცხადებთ — „ნაციონალური მოძრაობა“, მიხეილ სააკაშვილი, მისი უცხოელი მხარდამჭერები ქვეყანაში ქმნიან უმძიმეს დაძაბულობას, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს დიდი სახალხო დაპირისპირება და სისხლი.

ჩვენ კოალიცია „ერთსულოვნების“ დამფუძნებლები, სააკაშვილის საპრეზიდენტო უფლებამოსილების საკონსტიტუციო ვადის დასრულების მემორანდუმზე ხელმომწერი ერთ მილიონზე მეტი ამომრჩეველი ვიხსნით პასუხისმგებლობას მიხეილ სააკაშვილის ქმედებებზე და მის ქმედებათა გამო მოვლენების შემდგომ განვითარებაზე პასუხისმგებლობას ვაკისრებთ საქართველოს პარლამენტს, კოალიცია „ქართულ ოცნებას“, იმ პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტიკოსებს, რომლებიც მხარს უჭერენ სააკაშვილის პრეზიდენტობას 2013 წლის ოქტომბრამდე.

ჩვენ ვდგევართ იმ პოლიტიკურ ძალებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, იმ ხალხთან ერთად, რომლებიც თვლიან, რომ მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა დასრულებულია და მისი გამოსვლა საქართველოს პარლამენტში, ეს არის ქართველი ხალხის და საქართველოს მოსახლეობის შეურაცხყოფა და მარიონეტული მორჩილება სააკაშვილის მხარდამჭერი უცხოეთის პოლიტიკური წრეებისადმი,

ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს მომავალი დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ ძალებთან, იმ პოლიტიკოსებთან და იმ ხელისუფლებასთან, რომლებიც ქვეყნის გარედან არ იმართებიან და ემსახურებიან საქართველოს, მის ინტერესებს, ქართველ ხალხს და საქართველოს მოსახლეობას.

სწორედ ამ განწყობით ვდგებით საქართველოს პარლამენტთან იმ დღეს, როდესაც საქართველოს პარლამენტში წლიური მოხსენებისათვის იწვევენ თვითმარქვია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

დავდგეთ ერთად დემოკრატიისათვის, საქართველოს კონსტიტუციისათვის, ქართველი ხალხის და საქართველოს ღირსების დაცვისათვის, — ნათქვამია გუშინ მიღებულ მიმართვაში. ეს მიმართვა პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას გაეგზავმა.

მიმართვას კოალიცია „ერთსულოვნების“ სახელით ხელს რეზო ჩხეიძე, მიხეილ ანდღულაძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, ზაზა ხატიაშვილი, პაატა ცნობილაძე, რეზო ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ომარ მხეიძე, თამაზ ჭეიშვილი, ელგუჯა ბურდული, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, რამაზ ყურაშვილი, ოთარ ვარსიმაშვილი, იური ვაზაგაშვილი, ინესა იამანიძე, ზურაბ ხასია, რობერტ ბაბლიძე, რაულ სვანიძე, ავთანდილ ბარამაშვილი, ნათია ავსაჯანიშვილი, გიორგი ჟორჟოლიანი. ირმა დელონი, ანზორ ბაბუხადია, ლექსო კობაიძე, ავთანდილ იოსელიანი, კობა არაბული, რომან რურუა, მარინა კაჟაშვილი, ლაშა კალანდაძე, გელა სალუაშვილი, ჯემალ ჯიქია, ნანა შარაშიძე, შოთა ჩხეიძე, ვასილ კადენეცი და გიორგი გაგლოევი აწერენ.

# ციხეებში ფარული კამერები აღმოაჩინეს

შორენა კოწოწაშვილი

სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაკანონებული უკანონობის გამოვლენა გრძელდება. მსგავსი ფაქტები, როგორც წესი, ყველაზე მეტად პენიტენციალურ სისტემაში იყო, თუმცა მაშინ ძალიან ბევრი ამაზე ხმამაღლა საუბარს ვერ ბედავდა, ხოლო ვინც საუბრობდა, კონკრეტული ფაქტების დადება უჭირდა.

დღეს ირაკლი ღარიბაშვილის უწყება წინა ხელისუფლების უკანონო ქმედებების შესწავლა-გამოძიებას განაგრძობს და საზოგადოების წინაშე იმ ფაქტებს ახმაურებს, რასაც უკანონოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჰქონდა ადგილი. საუბარია უკანონო მოსმენასა და ვიდეოგადაღებაზე, რაც არაერთ საპატიმრო დაწესებულებაში ხორციელდებოდა.

ამჯერად შინაგან საქმეთა სამინის-



ტრომ სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებაში დამონტაჟებული ფარული მოწყობილობები გახადა საჯარო, რომელიც, ბუნებრივია, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობას გამოკვეთს.

ფარულად დამონტაჟებული აუდიო და ვიდეოჩამწერების თაობაზე განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროში გუშინ გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა.

როგორც ბრიფინგზე ითქვა, სამართალდამცავებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უკანონოდ დამონტაჟებული ფარული მოსასმენი ვიდეოჩამწერი აპარატურა აღმოაჩინეს, რაც თავის მხრივ კანონის და ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევაა. ეს კი, ბუნებრივია, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, მაღალჩინოსნების ინტერესების გარეშე ვერ განხორციელდებოდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა ბრიფინგზე განაცხადა, ფარული მოსასმენი და ვიდეოჩამწერი აპარატურა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, ასევე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად აღმოაჩინეს.

– გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ სასაჯელაღსრულების დაწესებულებებში, მათ შორის, თბილისის მე-8 და მე-9, ბათუმის მე-3, ქუთაისის მე-2, გეგუთის მე-14 და ზუგდიდის მე-4 დაწესებულებებში, 2006-2010 წლებში, შენობების მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს, უკანონოდ დამონტაჟდა ფარული მოსასმენი აპარატურა, შესაბამისად, დანაშაული სისტემურად ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა, – განაცხადა ნინო გიორგობიანმა. მისივე განცხადებით, დაწესებულებებში ჩატარებული ჩხრეკისა და დათვალიერების პროცესში, უკანონოდ დამონტაჟებული ფარული მოსასმენი და ვიდეოჩამწერი აპარატურის გარდა, გამომძიებლებმა სპეციალურ სათავსოს – ე.წ. „პულტების ოთახს“ მიაკვლიეს. აღნიშნული ოთახი მონაცემთა გაცვლისთვის და საჭირო სპეციალური ტექნიკით იყო აღჭურვილი, რაც საშუალებას იძლეოდა ვიდეო და აუდიოკონტროლი დისტანციურად განხორციელებულიყო.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეს სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო იძიებს.

# ვლადიმერ ტაბაღუა: „ციხეებში ნაციონალების აგენტურული ქსელი მოქმედებს“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ ადვოკატ ვლადიმერ ტაბაღუასთან

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას საიდუმლო მოსასმენი ქსელი ექნებოდა გაკეთებული, რაც ახალი ხელისუფლებისთვის ცნობილი არ იყო. ჯერჯერობით, ეს აღმოჩნდა ციხეებში. არ არის გამორიცხული, სხვაგანაც იყოს, ანუ არა ციხეში, არამედ სააკაშვილის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან ადგილებში დამონტაჟებული.

აქ, ალბათ, უნდა გავიხსენოთ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ციხეებში არსებული უმართავი სიტუაციები. არ არის გამორიცხული, სააკაშვილი ამას მისი აგენტურის მეშვეობით ახერხებდა.

ახლა გაირკვა, რომ ძველ, უკვე გაფარჩაკებულ (სიტყვა „გაფარჩაკებული“ ჩემი მოგონილი არ გეგონოთ. სააკაშვილმა გამოიყენა 2008 წლის არჩევნების შემდეგ ოპოზიციის მისამართით) ხელისუფლებას, უკანონო მოსასმენი ქსელი ჰქონდა გაკეთებული და საიდუმლო ოთახიდან აწარმოებდა მოსმენებს, ახდენდა ვიდეოგადაღებებს 2006 წლიდან დღემდე.

სწორედ 2006 წლიდან დაიწყო ქვეყანაში უბედურება. ბიუჯეტის ხარჯზე, სააკაშვილმა ახალ თუ ძველ საპატიმროებში, ყველგან მოსასმენი აპარატები და ვიდეოკამერები დაამონტაჟებინა. აი, ქვეყნის „მართვის საუკეთესო მეთოდი“. ამის შემდეგ ცრუ აღმაშენებლები კიდევ იტყვიან, არაფერი დაგვიშავებია, ქვეყანას ვაშენებდით და მტკიცებულებებიც არ არსებობსო.

ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა აცხადებს, რომ რასაც სააკაშვილი და მისი ხელისუფლება აკეთებდა, არის სრული უკანონობა. ვლადიმერ ტაბაღუა საპატიმროდან გამოსვლის დროს ორჯერ დააკავეს იმის გამო, რომ იცოდნენ, პატიმრის წერილი გამოჰქონდა, სადაც მოთხრობილი იყო მისი წამების ფაქტი და რომ არა ჟურნალისტები და ადვოკატები, მასაც დააპატიმრებდნენ.

– ბატონო ვლადიმერ, ახლა აღმოაჩინეს, რომ, თურმე, 2006 წლიდან მოყოლებული სააკაშვილის ხელისუფლებას ციხეებში უკანონოდ დამონტაჟებული ჰქონია მოსასმენი აპარატები და ვიდეოკამერები. აღმოაჩინეს ცალკე საიდუმლო ოთახიც, საიდანაც მოსმენები საიდუმლოდ ხდებოდა. რას იტყვით თქვენ, როგორც ადვოკატი, რომელიც ყოველდღე ხვდებით პატიმრებს? ე.ი. თქვენი საუბრებიც ყოველთვის ისმინებოდა.

– მოსასმენი აპარატები სასამართლო დარბაზებშიც იყო, სადაც ადვოკატები ისხდნენ და საპატიმროებშიც, სადაც ადვოკატები ხვდებოდნენ პატიმრებს.

– ის, რაც ახლა აღმოაჩინეს საპატიმროებში, დამატებით, საიდუმლოდ ჰქონიათ დაყენებული.

– უკვე ცნობილია, ამ ბოროტების რეჟიმს, რატომ ჰქონდა მოსასმენი აპარატები და ვიდეოკამერები დაყენებული. ჩვენმა საზოგადოებამ და მთელმა მსოფლიომ ვნახეთ, რა ხდებოდა საპატიმრო ადგილებში – პატიმრების წამებასა და არაადამიანური მოპყრობას ჰქონდა ადგილი. ყველაფერი ამასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ეშინოდათ პატიმრებს. ზოგიერთი პატიმარი ამას ჩუმად გვეუბნებოდა, ჩანაწერს ვაკეთებდით და შემდეგ ჩვენ ის გამოგვქონდა. რომელი პატიმარიც იმის თქმას გაბედავდა, რომ აწამეს, სჯიდნენ. გარდა ამისა, რომელი ადვოკატიც გაბედავდა ამის გახმოვანებას, იმ ადვოკატების შავი სია ჰქონდათ შედგენილი და დეპარტამენტში გადაცემული. მერე იმიტომ გვექცეოდნენ ჩვენ ისე სასტიკად, რომ ინფორმაცია არ გამოგვეტანა. ალბათ გახსოვთ, მე რომ ორჯერ დამაკავეს, როცა საპატიმროდან ნაცემი პატიმრების წერილები გამომქონდა. ფარულ მიყურადებასა და მსგავს ფაქტებს, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება კანონის დარღვევით აკეთებდა, უკანონოდ, ეს იყო დანაშაული. ჯერ ერთი, დაცული უნდა იყოს მიმოწერის საიდუმლოება. რა უფლება ჰქონდათ, მოესმინათ. პატიმარი ყვება თავის გასაჭირზე. ამათ ის უჭირდათ, რომ ჩადიოდნენ უკანონობას. ე.ი. ნაციონალებმა და სააკაშვილმა ციხეები აქციეს პატიმრების საწამებელ ლაბორატორიად და იქიდან არ უნდა გამოსულიყო ინფორმაცია. თუმცა, რა ინფორმაციაც გამოდიოდა და რაც იწერებოდა, იმაზეც არავითარი რეაგირება არ ხდებოდა იმიტომ, რომ ჯალათის ხელში იყო ძალაუფლება, კანონი და ყველაფერი.

– ანუ სანქცია თვითონ სააკაშვილს და მის შემსრულებლებს ჰქონდათ არაოფიციალურად გაცემული.

– ეს არის უკანონობა. მათ ყველაფერი არაკანონიერად ჰქონდათ გაკეთებული. რა უფლება ჰქონდათ, ჩემთვის მოესმინათ? კანონში პირდაპირ წერია, რომ პატიმარს ადვოკატთან აქვს კონფიდენციალური შეხვედრა. არავის აქვს უფლება, მომისმინოს, არავის აქვს უფლება, თუ ჩანაწერს გავაკეთებ, გამიკონტროლოს. მათ აქვთ უფლება მხოლოდ გააკონტროლონ, რომ იქ არ მოხდეს რაიმე სამართალდარღვევა, რაიმე კონფლიქტი. ყველა წესი უნდა იყოს დაცული – ადვოკატმა პატიმარს არ გადასცეს რაიმე აკრძალული ნივთი, ან პატიმარმა არ გადმომცეს რაიმე აკრძალული ნივთი, მაგრამ პატიმარს რა ჰქონდა ჩემთვის გადმოსაცემი? მათ მხოლოდ წესრიგის დამყარება ევალებათ. ვიდეოთვალი სწორედ იმისთვისაა გათვალისწინებული, წესრიგი იყოს მისაღებ ოთახში. პროკურორი იქნება თუ გამომძიებელი, პატიმარმა შეურაცხყოფა არ მიაყენოს, თავდასხმა არ მოხდეს. ვინც გასცა უკანონო მოსასმენი მოწყობილობების დამონტაჟების ბრძანება, პირველი პირი იქნება თუ მეორე, პასუხი უნდა აგოს. ამ შემთხვევაში ბრძანების გამცემად ადეიშვილს გულისხმობენ და ამბობენ, რომ სწორედ ადეიშვილი აკონტროლებდა ყველაფერს. ეს იყო, საერთოდ, უკანონო მოსმენებით ციხის მართვის მეთოდი.

– როგორც გავიგე, საუბარია იმაზე, რომ დღემდე ის მოსმენებისა და ვიდეოკამერების კონტროლის ოთახი საიდუმლოდ მოქმედებდა და ძველი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იყო.

– მათ ოპერატორი, ოფიცერი უზით იქ და ყველაფერს ისმენს, ჩანაწერს აკეთებს, რომელმა პატიმარმა რა ინფორმაცია მისცა თავის ადვოკატს. დიახ, მოსასმენი ქსელი ჰქონდათ და 24-საათიან რეჟიმში არაოფიციალურად უსმენდნენ.

– თურმე როდესაც ციხეებს აშენებდნენ, ან არემონტებდნენ, სწორედ იმ დროს ამონტაჟებდნენ მოსასმენ და ვიდეოაპარატურას.

– ისინი ამას ნებისმიერ დროს გააკეთებდნენ, რემონტის დროსაც და სხვა დროსაც. ვინ უშლიდა, რომ ღამის საათებში მოსასმენი აპარატები დაემონტაჟებინათ, გამოეყოთ ოთახი და იქ დაესვათ თანამშრომელი, რომელიც ჩანაწერებს გააკეთებდა. ესაა რეჟიმისთვის დამახასიათებელი თვისება – ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, ადამიანების მონებად გადაქცევა. პატიმარს პატიმრობა არ ჰყოფნის? ის ხომ ისედაც დაჩაგრულია, დანაშაული ჩაიდინა. სანამ გამამტყუნებელი განაჩენი არ გამოტანილა, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება. ამ დროს, რაც ხდებოდა იქ, ყველამ იცის – ყველა სახის ზემოქმედების ფორმა, რეპრესია გამოიყენებოდა. ეს იყო საშინელება. ასეთ მეთოდებს იმიტომ იყენებდნენ, რომ შიშის სინდრომი, რომელიც გარეთ, სამოქალაქო საზოგადოებაში იყო გამეფებული, ციხეებში უფრო მყარად ყოფილიყო. ყველა პატიმარს ეშინოდა. ერთ-ერთი პატიმარი მეუბნებოდა, მე ვარ ძალიან ნაცემი, მაგრამ ჩუმად, არავინ არ გაიგოსო. „ჩუმად, არ გაიგოს“, აპარატმა ჩაიწერა და მე რომ წამოვედი, იმ პატიმარს სცემეს.



– ე.ი. პატიმრებს ჯერ უსმენდნენ და მერე სცემდნენ.

– კონტროლი იყო, პატიმარი ნაცემი იყო თუ ნაწამები, არ გახმოვანებულიყო. ციხეებში ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა – ადამიანს როგორც კი დაიჭერდნენ და სასამართლო წინასწარ პატიმრობას რომ მიუსჯიდა, წინასწარი დაკავების საკნიდან გადაყვანისთანავე ხდებოდა მისი წინასწარი დამუშავება. ე.ი. დერეფანში გაატარებდნენ და სცემდნენ და შემდეგ მოათავსებდნენ კარანტინში. კარანტინში დასჯის დროსაც იგივე გრძელდებოდა. გამოკითხავდნენ, რა გვარი ხარ, ვინ ხარ, რას წარმოადგენ, კარგი ბიჭი ხარ, ცუდი ხარ. შემდეგ რაღაცაზე შემოუწყრებოდნენ და სცემდნენ განაწილების დროსაც. მერე ცდილობდნენ, საიდუმლო აგენტი გამხდარიყო. ცემის დროს ეკითხებოდნენ, ქურდი ხარ? არა. მაშინ დღეიდან იქნები ჩვენი აგენტიო. მერე ეუბნებოდნენ, თითქოს ის თანამშრომლობას დათანხმდა.

– თქვენ კარგა ხნის განმავლობაში მუშაობდით სასჯელაღსრულების სისტემაში. თქვენს დროს იყო ე.წ. დავერბოვკება, ანუ აგენტობაზე დაყოლიება, ან ცემა და აგენტობის იძულება?

– შს სამინისტროს სისტემა და, საერთოდ, ძალოვანი სტრუქტურები, ვთქვათ, თავდაცვის სამინისტრო, დაზვერვა, აგენტურისა და რეზიდენტის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ამას აქვს თავისი კანონი და მეთოდი. რა თქმა უნდა, აგენტად დაყოლიება ჩემს დროსაც ხდებოდა, მაგრამ ეს უნდა იყოს ნებაყოფლობითი. სანამ ადამიანს ამაზე გაესაუბრები, ჯერ ფსიქოლოგია უნდა შეისწავლო, რა მიმართულებისაა. აგენტურა საჭიროა იმისათვის, რომ გააკონტროლო კოლონიაში მიმდინარე სხვა პროცესები, რომელიც ხელს უშლის მასას სასჯელის მოხდასა და დაწესებულებაში ქმნის ცუდ ამინდს. ვთქვათ, ვიღაცას გაქცევა უნდა, ან ვინმეს მოკვლა უნდათ. ასეთი პროცესების მართვისთვის აუცილებელია სპეციალური თანამშრომელი, ანუ აგენტურა, რომლის გადმობირება ევალება ოპერატიულ სამსახურს. ეს ხდება კანონის თანახმად.

– და არა ცემითა და წამებით.

– ეს არის მახინჯი ფორმა. ამ შემთხვევაში ის შენ დაგთანხმდა, მაგრამ საკანში როცა შევიდა, განაცხადა, ბიჭებო, მცემეს და ხელი მომაწერინეს აგენტობაზე, მაგრამ არ გეგონოთ, რომ მე ვარ აგენტი. დღევანდელი სასჯელაღსრულების სისტემა, ჯერჯერობით, არ არის აწყობილი და არ მიმდინარეობს პროცესები ისე კარგად, როგორც ზოგს ჰქონია. იქაც დიდი პრობლემებია. ჯერ არ არის გადამოწმებული აგენტურა. არ ვიცი, ახალდანიშნული დეპარტამენტი რას შვრება, მაგრამ ეს ყველაფერი შესასწავლია. ჯერ გადმობირებული და მერე გაშიფრული საიდუმლო ქსელი საშიშია. არ მოხდეს ისე, რომ აგენტები დახოცონ. პატიმრები ეტყვიან, რატომ მოაწერე ხელი აგენტობაზეო და შეიძლება მოხდეს დაპირისპირება. სიფრთხილეა საჭირო, რომ არ მოხდეს ამ ძალით გადაბირებული ხალხის განადგურება.

– ვინ დახოცავს? ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები თუ შიგნით პატიმრები?

– თვითონ პატიმრები. ზოგიერთი პატიმრის ფსიქოლოგია ისეთია, მას, ვინც გადაბირებულია ძალადობით და ცემით, ეტყვის, აგენტობას ხელი რატომ მოაწერეო და შემდეგ შეიძლება მძიმე შედეგი დადგეს. საჭიროა ამის შესწავლა და ამგვარი, გაშიფრული აგენტურის ქსელიდან გარიცხვა. სასჯელაღსრულების სისტემაში მთელი საკითხებია მოსაგვარებელი. რომ არ მოხდეს დაშიფრული აგენტების ხელყოფა.

# ეგვიპტეში ისევ არეულობაა



ეგვიპტეში არეულობა გრძელდება. ათასობით დემონსტრანტი ისევ ქაიროს ქუჩებში რჩება. გასულ ღამეს პროტესტანტებმა ქაიროს გუბერნატორის ოფისში შეჭრა სცადეს. პოლიციამ მათ დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა და რამდენჯერმე ჰაერშიც გაისროლეს.

დემონსტრანტები რჩებიან ტაჰრირის მოედანზეც. აქციები გრძელდება პორტ საიდშიც. გასულ ღამეს ქალაქში ციხის აღება შეიარაღებული დაჯგუფების წევრებმა სცადეს, თუმცა სამხედროებმა მათი იერიში მოიგერიეს.

ამ ფონზე, ეგვიპტის თავდაცვის მინისტრის აბდელ ფატაჰ სისის განცხადებით, არსებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა, შესაძლოა, ქვეყნის მარცხი გამოიწვიოს. გენერლის სიტყვებით, ამ დროისათვის ქვეყანაში საშიში მდგომარეობაა შექმნილი.

ეს სიტყვები მინისტრმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე იმ ტერიტორიების მონახულების შემდეგ დაწერა, სადაც საგანგებო მდგომარეობაა შემოღებული.

„ბი-ბი-სის“ მონაცემებით, უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ქვეყანაში საპროტესტო აქციების მსვლელობისას 50 ადამიანი დაიღუპა. ეგვიპტის მთავარმა ოპოზიციურმა კოალიციამ პრეზიდენტის მოწოდება ეროვნულ დიალოგთან დაკავშირებით უარყო.

გერა მამულაშვილი

# ვანო ჩხარტიშვილი საქართველოში ბრუნდება

## ბიზნესმენი პატარკაციშვილის ქვრივს მოლაპარაკებას სთავაზობს

შორენა კოწოწაშვილი

**სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში საქართველოდან დევნილობაში მყოფი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი სამშობლოში დაბრუნებას გეგმავს და მზადყოფნას გამოთქვამს, ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხზე საჯარო ისაუბროს, რაც მედიას და ქართველ ხალხს აინტერესებს, მათ შორის საბჭოთა ანაბრების თემაზე. ვანო ჩხარტიშვილის სამომავლო გეგმებისა და მისი მხრიდან სამართლებრივ ფლანგზე გადადგმული ნაბიჯების შესახებ გუშინ მისმა ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**

პრესკონფერენციაზე ადვოკატმა ჟურნალისტებს პროკურატურის მიერ 26 იანვარს მიღებული დადგენილება გააცნო, რომლის თანახმადაც ვანო ჩხარტიშვილთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე სისხლის სამართლებრივი ძიება შეწყდა. ამასთან, პროკურატურამ ბადრი პატარკაციშვილის ცოლს ინა გუდავაძეს ბიზნესმენ ვანო ჩარტიშვილის წინააღმდეგ ყველა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა.

დიმიტრი გაბუნიას თქმით, ჩხარტიშვილი ბრიტანეთში იმყოფება, სადაც მას პოლიტიკური თავშესაფარი აქვს მიღებული. გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ ჩხარტიშვილი საქართველოს პასპორტის აღდგენასაც ელოდება.



როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, საქართველოში დაბრუნებული ვანო ჩხარტიშვილი, რომელიც ამავე დროს, ტელეკომპანია „მზის“ აქციებს ფლობდა, მისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას გეგმავს და ამ პროცესში აპირებს კონკრეტული მაღალი თანამდებობის პირების მიმართ პროკურატურაში სარჩელიც შეიტანოს.

— მისთვის ტელეკომპანია „მზის“ ჩამორთმევა მაღალი პოლიტიკური პირების მიერ მოხდა. თუმცა საქმესთან დაკავშირებით გამოძიება თავად ვანო ჩხარტიშვილის დაკითხვის გარეშე წინ ვერ წავა, — აღნიშნა ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ და იქვე დასძინა, რომ საქართველოში დაბრუნებული ვანი ჩხარტიშვილი ბიზნეს-აქტიურობას გეგმავს. რაც შეხება პოლიტიკას, ჩხარტიშვილის ინტერესების დამცველი განმარტავს, რომ ბიზნესმენი ამ მხრივ ამ ეტაპზე თავს იკავებს და პოლიტიკას ემიჯნება.

ამასთან ადვოკატი ვარაუდობს, რომ პოლიტდევნილთა ახალ სიაში მოხვდება. ამ მიზნით ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს შესაბამისი განცხადებით ორი თვის წინ მიმართა.

— თუმცა მისი პოლიტდევნილთა სიაში მოხვედრის აუცილებლობას და საჭიროებას ვერ ვხედავ, რადგან მის მიმართ ძიება შეწყვეტილია და ამას შეიძლება მხოლოდ ლეგალური ხასიათი ჰქონდეს, — აღნიშნა ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ.

რაც შეეხება ჩხარტიშვილსა და პატარკაციშვილის მეუღლეს შორის არსებულ გაუგებრობასა თუ დაპირისპირებას, ამის თაობაზე ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა განცხადება გაავრცელა, რასაც უცვლელად გთავაზობთ.

— საზოგადოებისთვის ცნობილია ჩემსა და ქალბატონ ინას შორის არსებული გაუგებრობის შესახებ, რომელიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ბადრო პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან მეოთხე წელს იქნა ინიცირებული. ჩემთვის ადამიანურად მძიმე და მორალურად მიუღებელი იყო გარდაცვლილი მეგობრისა და საქმიანი პარტნიორის მეუღლესთან დავა. ამიტომაც, კითხვების გაჩენის პირველივე დღიდან, ქალბატონ ინას წინადადებით მივმართე, საკამათო საკითხები მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული კომპანიების მეშვეობით გადაგვეწყვიტა. სამწუხაროდ, მოლაპარაკებები თბილისის მერმა გიგი უგულავამ ჩაშალა. მისივე ზეწოლით და შანტაჟით დავამ სასამართლოში გადაინაცვლა. ავტორიტეტულმა საერთაშორისო სასამართლომ, რომელიც ქალბატონმა ინამ შეარჩია, 2012 წლის ივნისში უარი უთხრა მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ მარცხზე რევანში სცადა და ქალბატონი ინას წარმომადგენელს 2012 წლის ივნისშივე სარჩელი შეატანინა საქართველოს პროკურატურაში.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როცა სააკაშვილი იძულებული გახდა პროკურატურა დაეთმო, უგულავამ და მისმა თანამზრახველებმა ახალ ხელისუფლებასა და პროკურატურაზე ზეწოლა პასკვილებისა და ცილისწამებათა ტირაჟირებით სცადეს, მაგრამ ამაოდ. გასულ კვირას საქართველოს პროკურატურამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ინა გუდავაძის მოთხოვნებს, უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ამით საბოლოო წერტილი დაუსვა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ინსპირირებულ დავას. ეს არის სიმართლის გამარჯვება და არა გამარჯვება ბადრი პატარკაციშვილის ოჯახზე, არამედ ჭორებითა და სიცრუით ადამიანების ერთმანეთზე გადაკიდების, დაპირისპირების, პროვოცირების, შურის, ქიშპისა და გაუტანლობის იმ ატმოსფეროზე, რომელიც პატარკაციშვილის მკვლელმა სააკაშვილის რეჟიმმა დაამკვიდრა საქართველოში. მომავალშიც ვიქნები ბოლომდე პრინციპული და თანმიმდევრული ყველა იმ საკითხის მიმართ, რომელიც ჩემთან დაკავშირებით საზოგადოებაში დაისმება. ჩემთვის ეს საქმე იყო არა ბანალური ბიზნესდავა, არამედ დავა ღირსებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ მაქვს და მექნება მორალური პასუხისმგებლობა. ამიტომ, მიუხედავად საერთაშორისო სასამართლოს და საქართველოს პროკურატურის გადაწყვეტილებებისა და იმისა, რომ სამართლებრივი დავა საქართველოს ტერიტორიაზე ამოიწურა და გადაწყვეტილებები მიღებულია ჩვენ სასარგებლოდ, არ ვხურავ კარს და მოვუწოდებ ქალბატონ ინას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და დავასრულოთ ყველანაირი გაუგებრობა, — ნათქვამია ვანო ჩხარტიშვილის განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ვანო ჩხარტიშვილი საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში საკუთარი მოკრძალებული წვლილის შეტანას გეგმავს და ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გაცემაზე მზადყოფნას აცხადებს. ამასთან, ბიზნესმენი აცხადებს, რომ მას არანაირი შეხება არ ჰქონია საბჭოთა ანაბრების გაუფასურებასთან და მითვისებასთან. ეს თემა, ჩხარტიშვილის თქმით, თავის დროზე „შავი პიარის“ დიდოსტატებმა ააგორეს. — იმედი მაქვს, ეს თემა გახდება მიუკერძოებელი ექსპერტებისა და სპეციალისტების ინტერესის საგანი, რის შედეგადაც საზოგადოება პროცესის მთელ სიმძიმეს დაინახავს და ამ პროცესის სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორებს; გაიგებს ამ სუბიექტური ფაქტორების გამომწვევი პიროვნებების ვინაობასაც, — აცხადებს ჩხარტიშვილი და იქვე დასძენს, რომ სხვა შემთხვევაში ეს თემა ისევ დარჩება ხელმოცარული პოლიტიკოსების უნიჭო არგუმენტად, ისიც ძირითადად წინასაარჩევნო პერიოდში.

ბიზნესმენის თქმით, გულწრფელად მოხარული იქნება თუ ამ თემის მაღალკვალიფიციური კვლევით მედია და სამოქალაქო სექტორი დაინტერესდება.

# „ბილაინის“ დინამიკური განვითარებისთვის ახალი გენერალური დირექტორი იზრუნებს

## გიორგი ტყეშელაშვილი კომპანიის ისტორიაში პირველი ადგილობრივი კადრია ამ პოზიციაზე



საქართველოში „ბილაინს“ უკვე მეხუთე ახალი დირექტორი უხელმძღვანელებს. ეს კომპანიაში შიდა როტაციის თემას უკავშირდება, თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა კომპანია მობიტელის მიერ ადგილობრივი წარმომადგენლობის გენერალურ დირექტორად ადგილობრივივე კადრი დაინიშნა. გიორგი ტყეშელაშვილი აქამდე კომპანიაში ფინანსურ დირექტორად მუშაობდა. მისი წინამორბედი, სერგეი ზაკურაევი კი სომხეთის ,,ბილაინის'' დირექტორად გადაიყვანეს.

გიორგი ტყეშელაშვილი 1975 წელს თბილისში დაიბადა. 1998 წელს მიიღო მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრის ხარისხი. 2000 წელს გააგრძელა სწავლა და 2003 წელს ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი მიიღო.

სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა Vიდეო Iნტერნატიონალ ეორგია-ს ფინანსურ დირექტორად. 2006 წლიდან გიორგი ტყეშელაშვილი მუშაობდა ობიტელ ჩო. ტდ-ს მთავარი ფინანსური ოფიცრის თანამდებობაზე. 2010 წელს იგი ხელმძღვანელობდა სქართველოში პორტირებასთან დაკავშირებულ პროექტს, რომელიც იყო ამ სფეროში VI ჩ -ის პირველი გამოცდილება. პროექტის წარმატებამ ბილაინს მისცა საშუალება გაეზარდა საბაზრო წილი საქართველოში და გაეუმჯობესებინა კომერციული მაჩვენებლები.

ზოგადად „ბილაინის“ გამოჩენას ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე მომხმარებლისთვის საკმაოდ ბევრი სასიკეთო ცვლილება მოჰყვა. კონკურენციის ზრდამ ფასების კლება განაპირობა. ბილაინმა პირველმა შემოიტანა სხვადასხვა სატარიფო გეგმა, რითაც მომხმარებლისთვის თავიდანვე სასურველ ოპერატორად იქცა, ჯერ კიდევ მანმადე, ვიდრე საქართველოს დასახლებული ტერიტორიების დიდ ნაწილს დაფარავდა. ბილაინმა შეძლო დაეძლია საკმაოდ ბევრი სირთულე და ბაზრის სრულუფლებიანი წევრი გახდა. კომპანიის წარმატებები მისი დინამიური ზრდა და სასურველი ოპერატორის იმიჯი თვალნათლივ აისახა პორტირების შედეგებში.

დღევანდელი, ასევე საკმაოდ მძაფრკონკურეტული გარემო და ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ახალ დირექტორს მუდმივად განახლებადი გამოწვევების წინაშე დააყენებს. კომპანიის „Vიმპეჩომ ტდ“-ს ვიცე-პრეზიდენტი ბიზნესის განვითარების მიმართულებით, დიმიტრი კრომსკი დარწმუნებულია ახალი დირექტორის შესაძლებლობებში. მისი განცხადებით „ბილაინის“ მიერ ნაჩვენები შესანიშნავი შედეგები მჭიდრო კავშირშია ახალი გენერალური დირექტორის გიორგი ტყეშელაშვილის თავდაუზოგავ შრომასთან:

„გიორგი იყო საქართველოში ბილაინის ბიზნეს ფორმირების ერთ-ერთი მონაწილე. მისი თავდაუზოგავი შრომიდან გამომდინარე, ძნელი საბაზრო მდგომარეობის პირობებში, „ბილაინმა“ კარგი შედეგები აჩვენა. კომპანიამ ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა შეძლო - ხარჯების მკაცრი კონტროლი და შემოსავლების მნიშვნელოვანი გაზრდა. დარწმუნებული ვარ, რომ თავისი კარიერის ახალ ეტაპზე გიორგის შეუძლია შეიტანოს უფრო დიდი წვლილი ბიზნესის განვითარებაში, რაც მოგვცემს „ბილაინის“ განვითარების დადებითი დინამიკის გაგრძელებისა და ქვეყანაში მისი პოზიციის გამყარების შესაძლებლობას“.

გუშინ, რედისონში გამართულ შეხვედრაზე გიორგი ტყეშელაშვილი პირველად წარსდგა ჟურნალისტებთან გენერალური დირექტორის რანგში:

„მადლობელი ვარ „ბილაინის“ თითოეული თანამშრომლის ამ წლების განმავლობაში აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის. ჩვენ გავიზარდეთ ერთად, ვსწავლობდით, მივაღწიეთ უკეთეს შედეგებს და ვცდილობდით გაგვეკეთებინა ყველაფერი მომხმარებლის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლდა. ახალ თანამდებობაზე ძალისხმევას მივმართავ იმისთვის, რომ საქართველოში ჩვენი კომპანიის ჯგუფურმა მუშაობამ, მობილური კავშირის მომხმარებლებს შორის უფრო მეტი დადებითი ემოცია გამოიწვიოს“.




„ამ დროისთვის, „ბილაინი“ საქართველოს ტერიტორიის 90%-ზე მეტს ფარავს. „მალე ამ მაჩვენებელსაც გავზრდით. ჩვენ გვინდა ვიყოთ ყველგან. 2012 წლის 9 თვის შედეგებით მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. ჩვენ ვართ ინოვაციურები, აქტიურები, ახალგაზრდები და კომპანიის განვითარება კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაგრძელდება“, - აღნიშნა გიორგი ტყეშელაშვილმა, — შარშანდელი წლის სამი კვარტლის მონაცემებით „ბილაინი ერთ მილიონ???? აბონენტს ემსახურება. ანუ აბონენტთა ბაზა 25%-ით გაიზარდა. კომპანიის შემოსავლებმა კი 23%-ით მოიმატა, მოგება 40%-ით გაიზარდა და 25 მილიონ ლარს გადააჭარბა.

რაც შეეხება პორტირებას „ბილაინმა“ ამ მიმართულებითაც კარგი შედეგები აჩვენა. პორტირებით კომპანიიდან შემოსული და გასული აბონენტების ბალანსი დადებითია (58%/42%). წელს კომპანია გააგრძელებს სოციალური პროექტების მხარდაჭერას, ასევე გარძელდება პროექტი „სპორტი ნათელ მხარეზე“.

2013, 30 იანვარი, №24

# მთავრობის სხდომა არასრული შემადგენლობით ჩატარდა

ნათია ხურცილავა

## მთავრობის სხდომა გუშინ მინისტრების არასრული შემადგენლობით გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი. მინისტრების უმრავლესობა საზღვარგარეთ ვიზიტით იმყოფება.

სხდომას ძირითადად ეკონომიკური პროფილის მინისტრები ესწრებოდნენ. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში მთავრობის წევრებმა აღნიშნეს, ძირითადად დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე გამართული შეხვედრები, საერთაშორისო ბიზნესის დაინტერესება იყო განხილვის საგანი.

მინისტრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 30 საკითხი განიხილეს.

ჟურნალისტებთან კომენტარი პაატა ზაქარეიშვილმა გააკეთა. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის შეფასებით, აფხაზეთის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადება არაკომპეტენტური იყო.

ეს განცხადება ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს მთავრობის კანცელარიაში სხდომის დაწყებამდე გააკეთა.

– სააკაშვილის პრობლემა სწორედ ის არის, რომ რაღაცას რაღაცას უკავშირებს, ბარემ რაღაცას რაღაცას აბამს, ვითომ საქმეს აკეთებს და იმიტომაც იყო ჩამოშლილი ყველაფერი. რკინიგზის გახსნაზე თუ იქნება საუბარი, მაშინ საქმე შეეხება მხოლოდ რკინიგზის გახსნას და აქ სხვა რაიმეზე საუბარი არ იქნება. დეოკუპაცია გარკვეული პროცესია, ხოლო რკინიგზის გახსნა კონკრეტული ნაბიჯი. ასე რომ, რკინიგზის გახსნა შეიძლება იყოს დეოკუპაციის ნაბიჯი და არა დეოკუპაციის პარალელურად წარმოებული პროცესი, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ზაქარეიშვილის თქმით, სააკაშვილის საქმე დამთავრებულია და პროცესებზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს.

– რაც შეეხება მეორე საკითხს, რომ უნდა დავსვათ კითხვა, თუ სად დადგება მებაჟე?! ეს კითხვა სააკაშვილმა თავის თავს უნდა დაუსვას, რადგან მან უფლება მისცა რუსეთს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებულიყო, ამით მან ქართველ მებაჟეებს საბაჟო ადგილი ზუგდიდში დაუკანონა, სწორედ მას უნდა მოვთხოვოთ პასუხი, თუ რატომ მოიქცა ასე, – აღნიშნა ზაქარეიშვილმა.




საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით: – აფხაზური რკინიგზა ზოგიერთისთვის კავკასიის დაპყრობის, სომხეთსა და აზერბაიჯანზე გავლენის მოპოვებისა და ირანზე გასვლის პლაცდარმი იქნება, – ამბობს სააკაშვილი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ჟურნალისტებთან საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე გამართულ შეხვედრებსა და მოსალოდნელ შედეგებზე ისაუბრა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, დავოსში გამართული ვიზიტის შედეგად წლის მეორე ნახევარში ინვესტორები საქართველოს სხვადასხვა პროექტებით მომართავენ.

როგორც კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, დავოსში ძალიან ბევრი საინტერესო შეხვედრა შედგა.

ეკონომიკის მინისტრი დავოსში გამართულ ვიზიტს წარმატებულს უწოდებს.

მინისტრის ინფორმაციით, იყო შეხვედრები ძირითადად საინვესტიციო ფონდებთან და ასევე ისეთ ცნობილ კომპანიებთან, როგორიცაა „ფილიფსი“ და „ინტელი“.

– დავოსში ძალიან ბევრი საინტერესო შეხვედრა შედგა. ძირითადად შეხვედრები საინვესტიციო ფონდებთან იყო. შეხვედრაზე კონკრეტულ პროექტებზე იყო საუბარი ტექნოლოგიის სფეროში, ასევე სხვადასხვა სავაჭრო ურთიერთობებზე, მაგალითად, კომპანია „ფილიფსს“ კონკრეტული შემოთავაზება ჰქონდა, ვფიქრობ, რომ წლის მეორე ნახევრისთვის, უკვე ამ ვიზიტის რეალურ შედეგებს ვიხილავთ, დაინტერესება ძალიან დიდია, არის კონკრეტული პროექტები, რომლითაც საქართველოს ინვესტორები მომართავენ, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მინისტრის თქმით, ინვესტორთა რამდენიმე ჯგუფი მეტალურგიის სფეროთი დაინტერესდა, ასევე არის დაინტერესება ტურიზმის სფეროში და ა.შ.

ჟურნალისტებთან კომენტარი კახა კალაძემაც გააკეთა.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საგამოძიებო ორგანოებს კომპანია „ნიუ ენერჯისთან“ დაკავშირებით მასალებს გადაუგზავნის.

როგორც მინისტრმა კახი კალაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, საქმე ეხება სვანეთში, მესტიაში მაღალი ძაბვისა და ელექტროხაზების გაკეთებას.

– 2011 წელს ნავთობისა და გაზის კორპორაციის დაკვეთით სვანეთში მოხდა 42 მილიონიანი პროექტის განხორციელება, აღნიშნული პროექტი ყოველგვარი ტენდერის გარეშე გადაეცა კომპანია „ნიუ ენერჯის“, რომელიც დახასიათებული იყო, როგორც მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კომპანია, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ აღნიშნული კომპანია ვერც ერთ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდა. იმ დროისთვის, როცა კომპანია „ნიუ ენერჯის“ ამ პროექტის განხორციელება დაევალა, მას ქონების ნაწილი დაყადაღებული ჰქონდა, ნაწილი „საქართველოს ბანკში“ იყო ჩადებული და ამის გარდა, კომპანიას 9 მილიონიანი ვალი ჰქონდა. მეც და საზოგადოებასაც ძალიან გვაინტერესებს, თუ რატომ დაევალა ამ კომპანიას აღნიშნული პროექტის განხორციელება, – განაცხადა კალაძემ.

მინისტრის თქმით, აღნიშნული საქმე შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნება.

კომპანია „ნიუ ენერჯისთან“ დაკავშირებული ტენდერების გაყალბება მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის სახელს უკავშირდება.

სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძის განცხადებით, საგაზაფხულო სამუშაოების მოსამზადებელი პროცესი დასრულებულია.

მისი თქმით, ამ პროცესში ძირითადი პრობლემა აღრიცხვიანობა იყო, რომელიც ჩატარდა და, შესაბამისად, სულ აღწერილია 800.000 ნაკვეთი.

ამასთან, მინისტრის განცხადებით, 600.000-ზე მეტი ადამიანი საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად მინიმუმ 300 ლარიან ვაუჩერებს მიიღებენ. ვაუჩერების თანხა განსაზღვრული ჰექტარის მიხედვით იქნება და ვაუჩერების ღირებულება ამის მიხედვით მოიმატებს.

როგორც დავით კირვალიძემ აღნიშნა, ამისთვის სულ 600-700 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი, ხოლო ვაუჩერების დარიგება უახლოეს დღეებში დაიწყება.

მისივე თქმით, საგაზაფხულო სამუშაოებისთვის უკვე შეძენილია ტექნიკა, თუმცა მარტის თვეში მისი დამატება მოხდება.

# საქართველო პრიორიტეტებს არ შეიცვლის

ნათია ხურცილავა

რუსული პრესა ბოლო დროს აქტიურად წერს საქართველოს ევრაზიულ კავშირში, მოდერნიზებულ დსთ–ში დაბრუნებაზე, რაზეც კრემლის წარმომადგენლებიც დაუფიქრებლად საუბრობენ. როგორც ჩანს, ასეთი განცხადებები მას შემდეგ გახდა უფრო აქტუალური, რაც დავოსში რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ხელი ჩამოართვა.

– მინდა ოფიციალურად განვაცხადო, რომ არანაირი კონტაქტი რუსულ მხარესთან საქართველოს დსთ-ში დაბრუნებასთან დაკავშირებით არ არსებობს, – ეს განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა გააკეთა.

მისი თქმით, რუსული მედიით გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.

– მინდა ოფიციალურად განვაცხადო, რომ არანაირი კონტაქტი რუსულ მხარესთან საქართველოს დსთ-ში დაბრუნებასთან დაკავშირებით არ არსებობს და არ მიმდინარეობს. ასე რომ, მედიასაშუალებით გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსი გაცხადებულია და ესაა ქართველი ხალხის არჩევანი – ევროატლანტიკური ინტეგრაცია, – ამბობს დავით ზალკალიანი.

იგივე არჩევანზე საუბრობს მინისტრთა კაბინეტის მეორე წევრი ალექსი პეტრიაშვილი. ალექსი პეტრიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველომ არჩევანი ნატოსა და ევროკავშირის სასარგებლოდ დიდი ხნის წინ გააკეთაო.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის განცხადებას დსთ-სთან დაკავშირებით ღიმილის მომგვრელს და არასერიოზულს უწოდებს.

– ეს არის ევროკავშირი და ნატო. ამ პრიორიტეტებს ნამდვილად არ შევიცვლით და გავაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას, – განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

რუსეთის საგარეო უწყების დსთ-ს ქვეყნების პირველი დეპარტამენტის დირექტორმა, მიხეილ ევდოკიმოვმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობასთან დსთ-ში დაბრუნებასთან დაკავშირებით კონტაქტები უკვე დაწყებულია.

# კომპანია „ბარამბოს“ უძრავი ქონება დაყადაღდა

ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია „ბარამბოს“ უძრავი ქონება დაყადაღდა.

როგორც „მედიანიუსს“ შემოსავლების სამსახურში განუცხადეს, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის მიმართვის შემდეგ მიიღო.

„შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტმა მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ კი, იმსჯელა და გამოიტანა გადაწყვეტილება „ბარამბოს“ ქონების დაყადაღებაზე“, – განაცხადეს შემოსავლების სამსახურში.

მედიანიუსი

# დღეს საქართველოს ვენეციის კომისიის დელეგაცია ეწვევა

დღეს საქართველოს ვენეციის კომისიის დელეგაცია ეწვევა, რომელსაც კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიო უხელმძღვანელებს. დაგეგმილია მათი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილთან, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებთან, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან, იუსტიციის მინისტრის მოადგილეებთან: გოჩა ლორთქიფანიძესა და ალექსანდრე ბარამიძესთან, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფომინისტრ პაატა ზაქარეიშვილთან. ვენეციის კომისიის წარმომადგენლები ასევე ეწვევიან იუსტიციის სახლს. ისინი საქართველოს 1 თებერვალს გამთენიისას დატოვებენ და მიუნხენში გაემგზავრებიან.

მედიანიუსი

# ავტობუსების მძღოლები შესაძლოა გაიფიცონ




გავრცელებული ინფორმაციით, თბილისში შესაძლოა, სამარშრუტო მიკროავტობუსები მძღოლების გაფიცვას ე.წ. ყვითელი ავტობუსების მძღოლებიც შეუერთდნენ.

როგორც „მედიანიუსს“ ტრანსპორტის პროფკავშირის პრეზიდენტმა ლავრენტი ალანიამ განუცხადა, პროფკავშირი მძღოლებს ყველანაირად დაუდგება გვერდში, ოღონდ კანონის ფარგლებში. მისი თქმით, არსებობს გარკვეული საკითხები, რომლის გადასაჭრელადაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესი უშედეგოდ დასრულდება, გამორიცხული არ არის ავტობუსების მძღოლები კვლავ გაიფიცონ.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ნოემბრის თვეში ავტობუსების გაფიცული მძღოლები ანაზღაურების გაზრდას და ხელმძღვანელობის მხრიდან დამოკიდებულების შეცვლას, ასევე კონკრეტული პირების თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

მედიანიუსი

# თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები გაფიცვას არ აპირებენ

თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები გაფიცვას არ აპირებენ და ამის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ.

როგორც „მედიანიუსს“ მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე ბესიკ ხარატიშვილმა განუცხადა, მეტროში მომუშავე ადამიანებს უამრავი მოთხოვნა აქვთ, თუმცა გაფიცვას არ აპირებენ. „სრული აბსურდია. გაფიცვას არ ვაპირებთ“, – განაცხადა მან.

შეგახსენებთ, რომ დღეს გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ შესაძლოა, სამარშრუტო ტაქსების გაფიცულ მძღოლებს ხვალიდან ე.წ. ყვითელი ავტობუსების მძღოლებიც შეუერთდნენ.

მედიანიუსი

# გიორგი ღონღაძის მკვლელობისთვის კიევის სასამართლომ ყოფილ გენერალს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა

კიევის პეჩორის სასამართლომ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ გენერალს ალექსეი პუკაჩს, ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობისთვის, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

განაჩენის თანახმად, ალექსი პუკაჩის ბრალეულობა დამტკიცდა და მას უფლებამოსილების გადამეტება და ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლეობა ედება ბრალად.

პუკაჩმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარა. მისი განცხადებით, გიორგი ღონღაძეზე თვალთვალის და მკვლელობის ბრძანება პირადად მაშინდელი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის იური კრავჩენკოსგან მიიღო. გენერალი თავის ჩვენებაში ამტკიცებს, რომ ჟურნალისტის მოკვლას არ აპირებდა და ეს შემთხვევით მოხდა.

შეგახსენებთ, რომ ინტერნეტ-გამოცემა „უკრაინსკაია პრავდას“ მთავარი რედაქტორი გიორგი ღონღაძე 2000 წლის 16 სექტემბერს გაუჩინარდა. გაუჩინარებიდან დაახლოებით ორ თვეში კიევთან მდებარე ტყეში მისი ცხედარი იპოვეს.

მედიანიუსი

# ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი ბაქოში უფლებადამცველების დაპატიმრების ფაქტს გმობს

2013 წლის 26 იანვარს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ასობით ადამიანმა აქცია გამართა ისმაილის ცენტრალურ ქალაქში გამართული საპროტესტო აქციების მხარდასაჭერად.

აქციის დაახლოებით 40 მონაწილე დააკავეს, მათ შორის ცნობილი ბლოგერი ემინ მილი, უფლებადამცველი მალაჰათ ნასიბოვა, უფლებადამცველი ადვოკატი ინტიგამ ალიევი და ასევე საგამოძიებო ჟურნალისტი ხადია ისმაილოვა.

ინტეგამ ალიევი, ხადია ისმაილოვა და მალაჰათ ნასიბოვა 4-საათიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს, ემინ მილის კი 15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს.

ამ ადამიანების დაკავება მოხდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ აზერბაიჯანში არსებული ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ რეზოლუციის მიღებიდან რამდენიმე დღეში; რეზოლუცია ხელისუფლებას მოუწოდებდა, შეეწყვიტა თავდასხმა და ძალადობა უფლებდამცველებზე. მრავალრიცხოვანი აქციის მონაწილეებიდან ცნობილი უფლებადამცველების გამორჩევით და გამიზნულად დაკავებით, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ აჩვენა, რომ ისინი დაკავებას იყენებენ კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანების დასასჯელად, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ საკუთარი კრიტიკული მოსაზრებები ევროსაბჭოში გააჟღერეს.

ფონდი ადამიანის უფლებათა სახლი გმობს მშვიდობიანი აქციის მონაწილეების დაპატიმრებას, მათ შორის – უფლებადამცველების დაკავებას ევროსაბჭოს მიერ რეზოლუციის მიიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ადამიანის უფლებათა სახლი მოუწოდებს აზერბაიჯანის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლონ 26 იანვარს დაკავებული უფლებადამცველი, ემინ მილი, რომელიც ამ დრომდე რჩება საპატიმროში; ასევე, მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან მოითხოვონ კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანების, მათ შორის – უფლებადამცველების დასჯის შეწყვეტა.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მედიაცენტრ

# 100 ათასმა ქალმა სამედიცინო შემოწმება ჩაიტარა

მერი ნამორაძე

მედიკოსებს თუ დავუჯერებთ, საშვილოსნოს ყელის კიბოს ყველა შემთხვევის თავიდან აცილება შესაძლებელია. ამის თქმის უფლებას ექიმებს ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ეფექტურობა აძლევთ. როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის კვირეული ევროპაში იანვრის ბოლო კვირას საგანგებოდ აღინიშნება. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა.

საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის პროგრამების მეშვეობით შესაძლებელია საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების დაახლოებით 80%-ის თავიდან აცილება. ამის გარდა ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ძალზე ეფექტურია, როდესაც ის მოზარდებს უტარდება. ვაქცინაცია ამცირებს საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკს მოზრდილ ასაკში ჩატარების დროსაც. თუმცა, ლოგიკურად ისმის კითხვა – თუ ამ დაავადების თითქმის ყველა შემთხვევის თავიდან აცილება შესაძლებელია, რატომ უვითარდება ის ყოველწლიურად 60 000 ქალს ევროპაში, საიდანაც 30 000 იღუპება? მედიკოსები ორ ძირითად მიზეზს ასახელებენ:

ბევრ ქვეყანაში კვლავ არ არის ეფექტური საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის და ვაქცინაციის პროგრამა, შესაბამისად ასეთ ქვეყნებში მოსახლეობას არ მიუწვდება ხელი ზემოაღნიშნულ სერვისებზე. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ეს პროგრამები არსებობს, ქალებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია მათი მნიშვნელობის შესახებ და ისინი არ სარგებლობენ ამ პროგრამებით.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის კვირეულთან დაკავშირებული ორგანიზებული ღონისძიებების მეშვეობით ხდება ამ დაავადების და მისი პრევენციის გზების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება საზოგადოების სამ ძირითად სამიზნე ჯგუფში: მოსახლეობაში, რომელსაც უნდა ჰქონდეს მაღალი განათლება საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისა და ვაქცინაციის მნიშვნელობის შესახებ, რათა გაიზარდოს მათი ამ პროგრამებში მონაწილეობის მოტივაცია იქ, სადაც ეს პროგრამები ხელმისაწვდომია; სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებში: ექიმებში, ექთნებსა და სხვა ჯანდაცვის მუშაკებში, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ ზუსტი და უახლესი ინფორმაცია საშვილოსნოს ყელის სკრინინგისა და ვაქცინაციის შესახებ, რომ მათ შეეძლოთ უპასუხონ პაციენტების შეკითხვებს და მოუწოდონ, გამოიყენონ ეს სერვისები.

მესამე – პოლიტიკოსები: პოლიტიკური ლიდერები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისა და ვაქცინაციის სარგებლის შესახებ, იმისათვის, რომ მათ კარგად ჰქონდეთ გააზრებული ამ პროგრამებისათვის უპირატესობის მინიჭების მნიშვნელობა. საშვილოსნოს ყელის კიბოს ეფექტური სკრინინგისა და ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამების საშუალებით საშვილოსნოს ყელის კიბოს თითქმის ყველა შემთხვევის თავიდან აცილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობა გამოიყენებს ამ პროგრამებს. მოსახლეობა კი მხოლოდ მაშინ გამოიყენებს ამ პროგრამებს, როდესაც კარგად ექნება გააზრებული მათი სარგებელი.

# სისხლის მარაგი უანგარო დონორთა ხარჯზე უნდა შეიქმნას

მერი ნამორაძე



საზოგადოების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული, რამდენად მნიშვნელოვანია სისხლის პროდუქტების სათანადო მარაგის არსებობა ქვეყანაში. სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმა უზრუნველყოფს მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას, პაციენტებს ეხმარება სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ხარისხის გაუმჯობესებაში და აგრეთვე რთული სამედიცინო პროცედურებისა და ქირურგიული ოპერაციების წარმატებით განხორციელებაში. ბევრ ქვეყანაში სისხლზე მოთხოვნა აღემატება არსებულ მარაგს და სისხლის სამსახურები ხშირად აწყდებიან საჭირო ოდენობით სისხლის მარაგის შექმნის პრობლემას, სისხლის ხარისხისა და უსაფრთხოების გამო; ასეთი ქვეყნების რიგებში რჩება საქართველო, სადაც უანგარო დონორების დეფიციტია.

ამჯერად უანგარო დონორობა მთავრობის წევრებმა იტვირთეს საკუთარ თავზე, რომლებმაც ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის სისხლი ჩააბარეს. ეს აქცია იაშვილის კლინიკის ონკო-ჰემატოლოგიის დეპარტამენტში მყოფი ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად ჩატარდა. „გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე" გახლდათ მოწოდება საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისათვის.

საქართველოში ბავშვთა ასაკში ყოველწლიურად ლეიკემიის 40 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. დაავადებული ბავშვების მკურნალობისთვის ქიმიოთერაპიის რამდენიმე კურსის ჩატარების შემდეგ სისხლის გადასხმა ხდება საჭირო. ასე რომ, სისხლსა და სისხლის პროდუქტებზე მოთხოვნა ამ პაციენტებში მუდამ მაღალია.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიზანია, ყველა ქვეყანაში 2020 წლისთვის სისხლის მარაგი შეიქმნას მხოლოდ ნებაყოფლობითი და უანგარო დონორების მიერ გაცემული სისხლით. გასულ წელს დონორთა საერთაშორისო დღის სლოგანი გახლდათ – „ყველა დონორი გმირია", რომელიც ხაზს უსვამდა იმას, რომ ყველა ჩვენგანი შეიძლება გახდეს გმირი, თუ გასცემს სისხლს. ეს თემა გამოხატავს პატივისცემას იმ თავმდაბალი ადამიანების მიმართ, რომლებიც სისხლის დონაციით ყოველდღიურად ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას უწყობენ ხელს.

# საპარლამენტო რესპუბლიკის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე შესასწავლია




**საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში კიდევ უფრო საინტერესო ხდება. საზოგადოება რომ საპრეზიდენტო კანდიდატებზე მსჯელობს, ეს ბუნებრივია და ამ დისკუსიას ვერც ივანიშვილი აუკრძალავს საქართველოს მოქალაქეებს, ვერც სააკაშვილი და ვერც ნებისმიერი სხვა პოლიტიკოსი. ქვეყანას, რომელმაც სამი პრეზიდენტის ხელში გაიარა, ბუნებრივია, მეოთხე პრეზიდენტის ვინაობის გარკვევა სურს და კითხვები ამ თემის ირგვლივ რომ არსებობს, ამაში ცუდი არაფერია.**

თამარ ნინიძე

გასულ კვირას ხმაური და სკანდალი კოალიციის შიგნით სწორედ პრეზიდენტობის თემის გარშემო ატყდა. კონფლიქტი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შორის მალევე ჩაიფარცხა, მაგრამ ამ კონფლიქტის კვალი დარჩა და სავარაუდოდ დიდხანს იქნება განხილვის თემა. კოალიციის შიგნით „თავისუფალ დემოკრატებს" საპრეზიდენტო წყობა მოსწონთ, რესპუბლიკელებს კი საპარლამენტო რესპუბლიკა უნდათ და ამ უკანასკნელების მოღვაწეობის ხანგრძლივი ისტორია სწორედ ამ წყობისადმი მათ სიმპათიებზე მეტყველებდა.

რატომ უნდა ალასანიას საპრეზიდენტო წყობა და რა არგუმენტები აქვს, ეს საზოგადოებისთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ საპარლამენტო რესპუბლიკისადმი დადებითი მოტივაცია რატომ არის კოალიციაში, ეს გასაგებია. ქვეყანაში სამი პრეზიდენტი იყო, თუ არ ჩავთვლით ნოე ჟორდანიას, ზვიად გამსახურდიამ, ედუარდ შევარდნაძემ და მიხეილ სააკაშვილმა განუზომელი უფლებები მოიპოვეს და სამივემ სხვადასხვაგვარად რთულად დაასრულა საპრეზიდენტო კარიერა. მიხეილ სააკაშვილს მართალია ჯერ ისევ პრეზიდენტის პოსტი უჭირავს, მაგრამ ფაქტია, რომ მისი პრეზიდენტობის ცხრაწლიანი მძიმე ისტორია მუდმივად შეგვახსენებს თავს და ამის შედეგებს კიდევ დიდხანს მოვიმკით. საპრეზიდენტო პრაქტიკამ დაგვანახვა ამ წყობის ყველა უარყოფითი მხარე, განუზომელი უფლებების ერთი ადამიანის ხელში თავმოყრას უცილობლად მოჰყვება დიქტატურისკენ და ერთმმართველობითი ტირანიისკენ სწრაფვა და თუ ადამიანს ისედაც ხასიათში აქვს დესპოტური მიდრეკილებები, პრეზიდენტის პოსტზე ამ თვისებებს მასშტაბურად ავლენს, რისი შედეგიც დღემდე აწუხებს ქვეყანას.

ახალი ხელისუფლება, საკუთარ მოქალაქეებთან შეთანხმებით გადაწყვეტს თუ არა ისეთი საკონსტიტუციო ცვლილებების გატარებას, რომელიც საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადაიყვანს სახელმწიფოს, ეს დროის საკითხია და ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული, ფართო საზოგადოების დაუკითხავად ეს საკითხი არ უნდა გადაწყდეს და საპარლამენტო რესპუბლიკის ყველა დადებითი და უარყოფითი ფაქტორიც უნდა იყოს ძირეულად შესწავლილი. ამის დრო ახლა ნამდვილად არის, მაგრამ სახელმწიფო წყობისადმი აზრთა სხვადასხვაობამ შესაძლოა კოალიციის რღვევა გამოიწვიოს და ამაზე ამჟამად ექსპერტების ნაწილი საუბრობს.

როგორც ჩანს, ივანიშვილს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი უფრო მოსწონს, რომელშიც პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და ქვეყნის მართვაში მისი ფუნქცია და როლი ნომინალურად სურს, რომ იყოს წარმოჩენილი, პრემიერ-მინისტრი იქნება პასუხისმგებელი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზეც, ვინმემ თუ იცის, გერმანიის და იტალიის პრეზიდენტების გვარები, სამაგიეროდ ბევრმა იცის ვინ არის გერმანიის კანცლერი და იტალიის პრემიერ-მინისტრი. ევროპის ბევრ ქვეყანაში, სადაც მონარქიული წყობა და ტრადიციებია, მონარქი სახელისუფლებო კრიზისის დროს მედიატორის როლს ასრულებს, მაგრამ ქვეყანას პრემიერ-მინისტრი მართავს. ასეა თუ ისე, ეს განხილვის თემაა, თანაც არა მარტო კოალიციაში, არამედ ზოგადად საზოგადოებაში.

პრემიერმა ივანიშვილმა პირადი სუბიექტური სიმპათიები უკვე გამოამჟღავნა სამი ადამიანის მიმართ, დიდ ხნით ადრე მან ალასანიაზე განაცხადა, ირაკლი ალასანია ისეთი ძლიერია, ის ქვეყნის მართვასაც კი შეძლებსო. ამის შემდეგ ივანიშვილმა საპრეზიდენტო პოსტზე მათემატიკოსი ივანე კიღურაძე და მოგვიანებით კი რესპუბლიკელი ვახტანგ ხმალაძეც დაასახელა. ყოველ მათგანზე კი საგანგებოდ აღნიშნა, ეს ჩემი სუბიექტური პოზიციაა და კოალიციაში კანდიდატურებზე მსჯელობა აუცილებლად იქნებაო. ივანე კიღურაძეზე საზოგადოებამ იცის ის, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ის ცოტა ხნით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო, სამეცნიერო წრეებში მას ბრწყინვალე მათემატიკოსად იცნობენ, მაგრამ მათემატიკის ცოდნა და ციფრებით მანიპულირება საკმარისი არ არის ცესკოს თავმჯდომარის პოსტისთვის, სულ ცოტა, ხმების გაყალბების ტექნოლოგიებიც უნდა იცოდე, ეს სავარაუდოდ კიღურაძისთვის ცნობილი არ იყო და მასთან მხოლოდ საბოლოო შედეგები მიდიოდა, ხოლო ადგილებზე უბნებში რომ ხმები ყალბდებოდა, ეს კიღურაძისთვის, სავარაუდოდ, ცნობილი არ იქნებოდა. კიღურაძეზე თუ იქნება საბოლოო არჩევანი კოალიციაში, ეს იქნება ივანიშვილის პირადი არჩევანი და არა კოალიციის შეჯერებული ვარიანტი. კიღურაძე ცნობადობით ისეთი მასშტაბური ფიგურა არ არის, როგორც ალასანია ან ხმალაძე. ხმალაძეს რესპუბლიკელები უჭერენ მხარს, ხოლო, სავარაუდოდ, ალასანიას პარტია მის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს. ხმალაძე დღეს მისთვის ყველაზე შესაფერის პოსტზეა, ის პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეა და კანონებს წერს. მას ალბათ არ ენდომება უფუნქციო და ბუტაფორიული პრეზიდენტის თანამდებობა, მას მოუწევს საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა.

თუკი პრეზიდენტის ინსტიტუტი ძველებურად დარჩება ისე, როგორც სააკაშვილის დროს არის, მაშინ იქნება ეს პოსტი ალასანიასთვის მომხიბვლელი. სხვა შემთხვევაში მას ისევ თავდაცვის მინისტრის სავარძელი უნდა ერჩიოს მარიონეტულ პრეზიდენტობას. ამიტომ ბრძოლა კოალიციის შიგნით საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის და ქვეყნის მართვის მოდელისთვის დაიწყება. რესპუბლიკელები, რომლებიც კოალიციაში ალასანიას პარტიასთან ერთად წამყვან პოზიციაზე არიან, იბრძოლებენ იმისთვის, რომ პრეზიდენტის პოსტზეც მათი პარტიის წევრი გაიყვანონ, უსუფაშვილი უკვე ჰყავთ პარლამენტის თავმჯდომარედ. ალასანიას კი ერთბაშად ორ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა, რესპუბლიკელების და ივანიშვილის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში შესაძლოა მას, რაგინდ გასაკვირი უნდა იყოს, ნაცმოძრაობა დაუდგება გვერდით. ნაცების ლიდერები აცხადებენ, რომ ივანიშვილსა და ალასანიას შორის უთანხმოება არა მარტო პრეზიდენტობაზეა, არამედ ქვეყნის საგარეო კურსზეცო.

სხვათა შორის, კოალიციის შიგნით ბრძოლის გაღრმავებას ნაცები კვლავ ყურადღებით დააკვირდებიან, მათთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, შესაძლოა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ნაცებმა საკუთარი კანდიდატურა არც კი დააყენონ. მათ რეაბილიტაციისთვის დრო სჭირდებათ, ამასობაში კი კოალიციის შიგნით განხეთქილების გაღრმავებას იმედოვნებენ და ჩასაფრებული პოზიციიდან სააშკარაო ბრძოლის ველზე გამოვლენ. რაც შეეხებათ კონსერვატორებს, ძიძიგურის მეთაურობით, ხალხის პარტიას დავითაშვილის ხელმძღვანელობით და ფორუმელებს, რომლებიც ქართულ ოცნებას შეერწყნენ, მათ ხმის უფლება ექნებათ და არა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა კოალიციის გადაწყვეტილებაზე. ასე რომ, ბრძოლა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის, გავლენისთვის და ძლიერი საპრეზიდენტო პოსტის შენარჩუნებისთვის ივანიშვილის პარტიას, თავისუფალ დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის გაგრძელდება.

# შსს-აკადემიას პირველი ტიტული

საქართველოს თასის გათამაშების გამარჯვებული შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდი გახდა. ბერძენი სპეციალისტის გაწვრთნილმა აკადემიელებმა ფინალურ მატჩში „ოლიმპი" დაამარცხეს – 79:69.

„შსს-აკადემიისთვის" ეს პირველი ტიტული გახლავთ. ძალოვნები არაერთხელ ახლოს იყვნენ ტიტულის მოგებასთან, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდნენ. წლევანდელ ფინალში კი კეცელიძისის გუნდმა წარმატების მიღწევა მოახერხა და საქართველოს თასს დაეუფლა.

ფინალური შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. „შსს-აკადემიამ" გამარჯვების მოპოვება დამატებით დროში მოახერხა. მატჩისთვის განკუთვნილი ძირითად 40 წუთის შემდეგ ფრე – 58:58 დაფიქსირდა. აკადემიელები ბოლო პერიოდში, მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე 16 ქულით – 52:38 იგებდნენ და თითქოს არაფერი ემუქრებოდათ, მაგრამ ბოლო წუთები „ოლიმპმა" სრული მობილიზებით ჩაატარა და ჩამორჩენის გაბათილება მოახერხა.

ბოლო წუთებში თავი ლიტველმა მარტინას ანდრიუკაიტისმა გამოიჩინა, რომელმაც არაერთი სამქულიანი ჩააგდო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლიტველი სნაიპერის ბოლო სამიანი, რომელიც ბალტიისპირველმა ფორვარდმა საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე ჩააგდო. ამ სროლის შემდეგ ანგარიში 58:58 გახდა, შსსელებმა ბოლო შეტევა ააცილეს და თამაში დამატების დროში გადაიზარდა.

ოვერტაიმი აკადემიელებმა 2 სამქულიანით დაიწყეს – თავი აკაკი ლომოურმა და დეონტა ვონმა გამოიჩინეს. მალე შსსელთა უპირატესობამ 8 ქულას მიაღწია და „ოლიმპი" წაგების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დარჩენილ 2 წუთში გია კაზანჯიანის გაწვრთნილი ოლიმპელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ 1 კვირის წინ მოგებული პირველ ტიტულს – საკანდელიძექორქიას მემორიალს საქართველოს თასი ვეღარ მიამატეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი, რომელიც კალათბურთის ფედერაციის მიერ იყო დაწესებული, აკადემიელთა ამერიკელმა ლეგიონერმა, დეონტა ვონმა მოიგო, რომელიც 27 ქულით ბომბარდირი გახდა. 16 ქულა დააგროვა და გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი დაიდო ილია ლონდარიძემ, ხოლო კირკ არჩიბექმა პირად ანგარიშზე 21 მოხსნა და 12 ქულა ჩაიწერა.

დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი „შსს-აკადემიის" კაპიტნისთვის თასის გადაცემით დასრულდა. დავით იმნაძეს გარდამავალი თასი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბესიკ ლიპარტელიანმა გადასცა.

**გეორგის კეცელისი, შსს-აკადემიას მწვრთნელი:**

– თქვენ შეიძლება არ იცით, მაგრამ ზუსტად ერთი წლის წინ, ამ დღეს ჩამოვედი საქართველოში. წამოსვლამდე, ჩემს ქალიშვილს შევპირდი, რომ ერთ წელიწადში, ჩემი მწვრთნელობით კლუბი მოიგებდა. მინდა, ეს მოგება ცოლსა და ქალიშვილს მივუძღვნა და ასევე ჩემს კოლეგა კუფოსს, რომელმაც ერთი კვირის წინ გულზე მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ძალიან მგულშემატკივრობს. ვულოცავ მოწინააღმდეგე გუნდს, ძალიან საინტერესო თამაში გვაჩვენეს და ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწიეს. რაც შეეხება თასს, მინდა, ლევან მიქაბერიძეს და მამუკა გოგლიძეს გადავცე პირადად, იმიტომ, რომ ბევრს შრომობენ კლუბისთვის.

**გია კაზანჯიანი, ოლიმპის მწვრთნელი:**

– დღეს ღირსეულმა გაიმარჯვა. რაც შეეხება ჩემს გუნდს, მილოშევიჩს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა, თან ეტყობოდა, რომ უფრთხოდა იმ ფეხს, რომელიც ბოლო თამაშზე იტკინა. სამწუხაროდ, ჩვენმა მსროლელებმა ვერ გაამართლეს, 17-დან მხოლოდ სამი ჩააგდეს. არადა, ჩვენი კოზირი სწორედ ეს იყო.

**დეონტა ვონი:**

– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს „ოლიმპის" კარგი თამაში. საერთოდ, ჩემი პლუსები – კარგი პასი, სროლა, შესვლა – „ოლიმპთან" ყველაზე მეტად მიჭირს. ნამდვილად ღირსეული და ძლიერი კონკურენტია. ეს საუკეთესო მატჩი იყო ჩემს კარიერაში.

**მიხეილ ბერიშვილი:**

– ვულოცავ „შსს-აკადემიას" ღირსეულ მოგებას. ვერ გამოვიყენეთ შორი ტყორცნები და ეს ყველაფერი შედეგზეც აისახა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# კულტურულ მემკვიდრეობაზე მერაბ ბოჭოიძე იზრუნებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელად მერაბ ბოჭოიძე წარადგინა.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელად წარადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არქიტექტორ-რესტავრატორს, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს მერაბ ბოჭოიძეს. ის წლების განმავლობაში იყო ჩართული ამ სფეროში და არაერთ პროექტში მიიღო მონაწილეობა. ამ თანამდებობაზე განიხილებოდა რამდენიმე კანდიდატურა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი მერაბ ბოჭოიძეზე შეჩერდა, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

მერაბ ბოჭოიძე გურამ ოდიშარიასთან ერთად კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა ოფიციალურად წარადგინეს.

– საქართველოს კულტურის სამინისტრომ სხვა კანდიდატებს შორის არჩევანი სწორედ მერაბ ბოჭოიძეზე გააკეთა. მას დიდი გამოცდილება გააჩნია ადმინისტრაციული და ფინანსური მართვის საკითხებში, კულტურული მემკვიდრეობის, კანონისა და ძეგლთა დაცვის საერთაშორისო რეგულაციებში, ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საკითხებში. იგი ამ თანამდებობაზე შეირჩა მისი პროფესიული განათლებიდან გამომდინარე. მას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, სტაჟი, საერთაშორისო ურთიერთობების გამოცდილება, პროფესიული წრისა და მომიჯნავე დარგების წარმომადგენელთა მხარდაჭერა, წარმატებით განხორციელებული სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო ძეგლთა დაცვითი სამუშაოები, მათ შორის არქეოლოგიური ძეგლები, შუა საუკუნეების ძეგლები, ტრადიციული საცხოვრებელი, ურბანული არქიტექტურა და XX საუკუნის არქიტექტურა, – განმარტა მინისტრმა.

მინისტრის მოადგილის მარინა მიზანდარის თქმით, აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად არაერთი კანდიდატურა განიხილებოდა. მათ შორის იყვნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დავით ლომიტაშვილი, არქეოლოგი და არქიტექტორი გურამ ყიფიანი, არქეოლოგი მერაბ ძნელაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ირინე ელიზბარაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და ექსპერტი მანანა სურამელაშვილი, ხელოვნებათმცოდნე კახა ტრაპაიძე, ხელოვნებათმცოდნე მაკა დვალიშვილი და ისტორიკოსი და აკადემიკოსი გიორგი ოთხმეზური.

– საბოლოოდ არჩევანი ბატონ მერაბზე შეჩერდა. ჩვენ ერთად ძალიან

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

წარმატებულ პროექტებს განვახორციელებთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ ის, რაც გვერგო წინაპრებისგან და გავუღვივოთ მათ ინტერესი ამ კულტურულ მემკვიდრეობაზე, – აღნიშნა მარინა მიზანდარიმ.

თავად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ახალი ხელმძღვანელის თქმით:

– ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ღმერთისა და ერის წინაშე. თუკი რამე მისწავლია წლების განმავლობაში, ყველაფერს გამოვიყენებ იმისთვის, რომ ეს მომავალ თაობებს გადავცე და ამ პოტენციალს მოვახმარ მთლიანად ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი მინისტრმა თანამდებობიდან გასულ კვირას გადააყენა. ამის მიზეზად მან აზრთა სხვადასხვაობა დაასახელა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი მერაბ ბოჭოიძე თანამდებობაზე ოფიციალურად 30 იანვარს დაინიშნება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი თანამდებობიდან წინა კვირას გადააყენა. როგორც მინისტრის მოადგილემ მარინა მიზინდარიმ განაცხადა, ბრძანება კულტურის სამინისტრომ დაწერა და 25 იანვრიდან ნიკა ვაჩეიშვილმა დაკავებული თანამდებობა დატოვა. საფრანგეთში დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი პარიზში იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილეს ფრანჩესკო ბანდარინის შეხვდნენ. შეხვედრაზე ბაგრატის საკითხიც განიხილეს. იუნესკოში აღინიშნა, რომ ბაგრატის განახლების პროექტი არ იყო მათთან შეთანხმებული, ასევე არ იქნა დაცული რეკონსტრუქციის კრიტერიუმები, რაც ტაძრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოღებას გამოიწვევს. ბანდარინიმ აღნიშნა, რომ დაირღვა ძეგლის ავთენტურობა და როგორც ხუროთმოძღვრების თვითმყოფადი ნიმუში, ის ნუსხაში ვეღარ დარჩება. ფრანჩესკო ბანდარინი ქართულ მხარეს ერთგვარი კომპორმისული ფორმის მოძიებას სთავაზობს.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას ისიც ითქვა, რომ გურამ ოდიშარია და მარინე მიზანდარი ასევე შეხვდნენ იკომოსის – ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამის დირექტორს რეგინა დიურიგელოს. იკომოსშიც აქცენტი ბაგრატსა და მცხეთის ძეგლებზე გაკეთდა, საუბარი ასევე, შეეხო მომავალი თანამშრომლობის გეგმებს.

– პარიზში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილე ფრანჩესკო ბანდარინისთან, რომელზეც ბაგრატის ტაძრის საკითხიც განვიხილეთ. იუნესკოში აღინიშნა, რომ ბაგრატის ტაძრის განახლების პროექტი მათთან შეთანხმებული არ ყოფილა. არ იყო დაცული რეკონსტრუქციის კრიტერიუმები, რაც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ტაძრის ამოღებას იწვევს. ბანდარინიმ აღნიშნა, რომ დაირღვა ძეგლის, როგორც ხუროთმოძღვრების თვითმყოფადი ნიმუშის ავთენტურობა და ის ნუსხაში ვეღარ დარჩება. ბაგრატის ტაძარი არ არის ის, რაც იყო, სპეციალისტების მიერ გამოითქვა აზრი, რომ ჯობდა დარჩენილიყო ისე, როგორც აქამდე იყო. აზრთა სხვადასხვაობაა ამასთან დაკავშირებით, გავა დრო და ბაგრატის ტაძარს შეეჩვევა ქართველი საზოგადოება, ხალხი ამ ტაძარში ილოცებს და ის საუკუნეებს გაჰყვება. ბაგრატის ტაძარი ჩვენს შვილთაშვილებს უნდა გადაეცეს. მაგრამ გული ერთ რამეზე მწყდება – მისი რესტავრაცია ბევრად უკეთ, აუჩქარებლად, პრინციპით „იჩქარე ნელა“ შეიძლებოდა და ის სამაგალითოდ აღდგენილი ძეგლი იქნებოდა. ჩვენ კი ეს შანსი სამუდამოდ გავუშვით ხელიდან.

კულტურის მინისტრის მოადგილის, მარინა მიზანდარის თქმით:

– იუნესკო ქართულ მხარეს კომპრომისული ფორმის მოძიებას სთავაზობს, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებულია. მზადდება ახალი ნომინაცია, რათა გელათი კვლავ შეიტანონ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში. საპროექტო წინადადებაში, რომელიც საერთაშორისო ექსპერტებმა მოამზადეს, ბაგრატი არ ფიგურირებს და დატანილია რუკაზე წერტილის სახით, რადგან ეს ძალიან რთულია. ამის გაკეთება საფრთხეში აგდებს გელათის საკითხსაც, რადგან თანაბარუფლებიანი საფუძვლით ეს ორი ძეგლი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში ვერ შევა.

გურამ ოდიშარიას თქმით, მასსა და ნიკა ვაჩეიშვილს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ვინაიდან სამინისტრო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში ცვლილებებთან დაკავშირებით, ამიტომ გურამ ოდიშარიამ მისი მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. გურამ ოდიშარიამ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მან მიიღო. ნიკა ვაჩეიშვილი ამ კვირიდან დატოვებს თანამდებობას. მიზეზებზე გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტებთან ისაუბრა და განაცხადა, რომ თუკი აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ეს გადაწყვეტილება მინისტრმა ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით მიიღო, ეს არ არის მართალი, რადგან ბაგრატის ტაძარი არ არის მთავარი მიზეზი, რის გამოც მან ნიკა ვაჩეიშვილი მოხსნა. მან ისაუბრა სხვა ძველი ძეგლების რესტავრირების დროს დაჩქარებული წესით წარმოებულ სამუშაოებზე, რამაც დააზარალა ძეგლები. ეს კი მინისტრისთვის მიუღებელი იყო.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ვინ შეცვლის ნიკა ვაჩეიშვილს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

– ჩვენ ვისაუბრეთ ნიკასთან აქტიურად, შევთანხმდით, რომ მან დიდი სამუშაოები ჩაატარა, ნაწილი კარგია მის მიერ წარმოებული სამუშაოებისა, ნაწილზე მაქვს შენიშვნები და არა მარტო მე, არამედ სპეციალისტებსაც. ნიკა იზიარებს შენიშვნებს, ან საერთოდ არ იზიარებს. ჩვენ დიდხანს გვქონდა საუბარი და დავასკვენით, რომ ჩვენი კონცეპტუალური ხედვა განსხვავდება და სჯობს დავშორდეთ ერთმანეთს ამ ეტაპზე. ამ კვირიდან გაფორმდება დოკუმენტაცია. სავარაუდო კანდიდატები უკვე არიან. ვაღიაროთ, რომ უკანასკნელ წლებში ამ ტაძრების რესტავრირების დროს ზოგიერთი პროექტი ძალიან სწრაფად არის განხორციელებული. ამით გაფუჭდა ყველაფერი. არის შემთხვევები, როცა ნიკა ვაჩეიშვილიც არ იყო ამაში დამნაშავე, მას აჩქარებდნენ, მაგრამ როცა სააგენტოს ხელმძღვანელი ხარ, პასუხისმგებლობაც შენზეა, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

საქართველოს კულტურის მინისტრი ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის საკითსაც შეეხო და განაცხადა, რომ კულტურის სამინისტრო ამ დროისთვის განიხილავს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველის თანამდებობას და ხუთშაბათს ეს ინფორმაციაც საჯარო გახდება. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა რეჟისორმა დავით საყვარელიძემ თანამდებობებიდან წასვლის შესახებ განცხადება თავად დაწერა, თუმცა როგორც მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი ამტკიცებდა, ამ განცხადებაში მინისტრს ხელი მაშინვე არ მოუწერია. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოპერის თეატრის ხელმძღვანელმა ეს გადაწყვეტილება 24 იანვარს გვიან ღამით კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ მიიღო. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება მან ხელოვნებისა და ოპერის თეატრის განვითარებასთან დაკავშირებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან განსხვავებული აზრის გამო მიიღო. რეჟისორმა შეთავაზება მიიღო სხვა თანამდებობაზე, რაც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ დავით საყვარელიძეს დირიჟორი გიორგი ჟორდანია შეცვლის, რადგან ის საქართველოს პრემიერ მინისტრის ახლობლად მოიაზრება. სად გააგრძელებს მუშაობას დავით საყვარელიძე, ჯერჯერობით უცნობია. რეჟისორი ოპერისა და ბალეტის თეატრს 2004 წლიდან ხელმძღვანელობდა.

– დავით საყვარელიძეს პირადად შევთავაზე სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში დარჩენა თეატრში, სადაც 9 წლის მანძილზე მოღვაწეობდა, რაზეც საყვარელიძემ უარი განაცხადა. ფაქტია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრში სიახლეების განხორციელების საჭიროებაა. დავით საყვარელიძემ ნაყოფიერი წლები გაატარა თეატრში, თუმცა ყველაფერი მოითხოვს განახლებას და დღის წესრიგში დადგა თეატრის დირექტორის შეცვლაც. მე და დავით საყვარელიძეს ხშირად გვქონია საუბრები და მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დავით საყვარელიძე დატოვებდა დირექტორის თანამდებობას. მას აქვს არაერთი პროექტი განსახორციელებელი როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში და კულტურის სამინისტრო ყველანაირად დაუდგება გვერდში დავით საყვარელიძეს. ამ თანამდებობაზე არაერთი კანდიდატი განიხილება, მათ შორის ერთ-ერთი გიორგი ჟორდანიაა. წლის ბოლოს უკვე დასრულდება ოპერისა და ბალეტის თეატრის რემონტი და ვისაც ექნება უკეთესი წინადადება თეატრის განვითარებასთან დაკავშირებით, სწორედ ის გახდება მისი დირექტორი, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

**საქართველოს მშრომელთა უფლებების დაცვის პარტიის**

**განცხადება**

2012 წელს „საქართველოს მშრომელთა უფლებების დაცვის“ პარტიას არანაირი ფინანსური საქმიანობა არ უწარმოებია, რის გამოც არ მომხდარა თანხების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

პარტიას არ გააჩნია უძრავ-მოძრავი ქონება და არ არსებობს აუდიტორული შემოწმებისათვის აუცილებელი ფინანსური დოკუმენტაცია.

„საქართველოს მშრომელთა უფლებების დაცვის“ პარტიას არც რაიმე ფინანსური ოპერაცია არ უწარმოებია.

*პარტიის თავმჯდომარე ა.ტყებუჩავა*

**SMS-განცხადებები – 3090**

● ცენტრალური გათბობა უმოკლეს დროში (2-3 დღე)! საუკეთესო ფირმების („ბოშისა“ და „არისტონის“) ქვაბებით, საუკეთესო მასალით, გარანტიითა და ოპტიმალური ფასებით – მაღაზიისა და ბაზრის პრეისკურანტებით. ტელ: 595-67-82-62, 267-82-62 – ემზარ ამნიაშვილი.

● იყიდება მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. ახალაშენებული 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის ჟალუზებით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 22 კმ-ში. საწყისი ფასი 30.000 დოლარი. 15.000 ხელზე და 15.000 დოლარი განვადება. ტელ.: 577-42-41-22, 599-72-27-48. გია.

**განცხადებები**

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ნეიმარი: მსურს, უკეთესი ფეხბურთელი და უკეთესი პიროვნება გავხდე




**მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ბრაზილიელი ნეიმარი სამართლიანად მიიჩნევა. „სანტოსის“ 20 წლის ფორვარდი, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად ზედიზედ მეორედ დაასახელეს. გარდა ამისა, მისი გოლი ფიფას ნომინანტთა დაჯილდოებაზე იყო წარდგენილი.**

**ნეიმარის ტრანსფერთან დაკავშირებით უამრავი ჭორი ისმის – ბრაზილიელი ხან „ბარსელონას“, ხან „რეალის“ ფეხბურთელია. ახლა უკვე მისით დაინტერესება „ბაიერნმაც“ გამოხატა. მიუხედავად უამრავი მაცდური წინადადებისა, ბრაზილიელი კვლავ „სანტოსის“ ერთგულია და გუნდის დატოვებას ჯერ არ აპირებს.**

**ნეიმართან ინტერვიუ ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

***– პუშკაშის პრიზზე ზედიზედ მეორედ იყავით ნომინირებული. ლამაზი გოლების გატანას ყოველი წლის დასაწყისში ისახავთ მიზნად?***

– ასე ნამდვილად არ არის. მოედანზე გასვლის წინ ამაზე არ ვფიქრობ, უბრალოდ, ღმერთის წყალობით რამდენიმე ლამაზი გოლი გავიტანე და ამ გოლების გამო პუშკაშის პრიზზეც წარმადგინეს.

***– გოლების გატანა უფრო გსიამოვნებთ თუ საგოლე პასების გაკეთება?***

– ორივე მსიამოვნებს. თუ გოლი ვერ გამაქვს, საგოლე პასის გაკეთებაც მიხარია. სიმართლე რომ გითხრათ, როდესაც თანაგუნდელს ჩემი პასის შემდეგ გოლი გააქვს, ისეთივე შეგრძნება მეუფლება, თითქოს მე გამეტანოს.

***– რომელი უფრო რთულია – ფეხბურთის თამაში თუ ბავშვის გაზრდა?***

– გააჩნია სიტუაციას. ჩემი შვილი 18 თვის არის და ახლა გაცილებით მეტი საქმე მაქვს, ასე რომ, ბავშვის აღზრდა ოდნავ რთულია.

***– როგორი მამა ბრძანდებით?***

– ძალიან ბედნიერი. შვილთან ერთად დიდ დროს ვატარებ და ვცდილობ, რომ სულ მის გვერდით ვიყო.

***– ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ. რა იყო თქვენი საუკეთესო მომენტი 2012 წელს?***

– ალბათ თამაში „კრუზეიროსთან“ (ნეიმარმა იმ შეხვედრაში ჰეთ-თრიქი შეასრულა, „სანტოსმა“ კი 4:0 მოიგო), რადგან შეხვედრის შემდეგ მეტოქის ქომაგებმა აპლოდისმენტებით დამაჯილდოვეს, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო.

***– ლონდონის ოლიმპიადისგან როგორი მოგონება დაგრჩათ?***

– კარგიც და ცუდიც. ლონდონში ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. არიან სპორტსმენები, ოლიმპიადაზე მარტო მედლისთვის რომ მიდიან და დიდი მნიშვნელობა არ აქვს მაინცდამაინც ოქროს მოიგებს, ვერცხლს თუ ბრინჯაოს – მათთვის მთავარი მედალია. ჩვენ სამშობლოში ვერცხლით დავბრუნდით, რაც ცუდი შედეგი არ იყო. მექსიკასთან ფინალში წაგებამ ძალიან დაგვწყვიტა გული, თუმცა მაინც კარგი შეგრძნებაა, როდესაც სახლში ოლიმპიური მედალი გაქვს.

***– მექსიკას კონფედერაციის თასზეც შეხვდებით. აქედანვე ფიქრობთ რევანშზე?***

– ცოტათი. მთავარი მიზეზი ოლიმპიადის ფინალის წაგებაა, თორემ მექსიკის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. საერთოდ, ყველა ფინალს ერთი გამარჯვებული ჰყავს და ზაფხულში ყველაფერი მათ სასიკეთოდ აეწყო. ჩემი აზრით, მათ აბსოლუტურად დამსახურებულად მოიგეს.

***– ბრაზილიის ნაკრებში პირველად მანო მენეზემ გამოგიძახათ.***

– კი, ასეა. პირველად შანსი სწორედ მან მომცა და მანომ ბევრი რამ მასწავლა. ყველა მწვრთნელს საკუთარი სტილი აქვს და ფეხბურთელი, თითოეული მწვრთნელისგან, ვისთანაც უმუშავია, რაღაც ახალს სწავლობს. მენეზეში გამონაკლისი არ ყოფილა და მე მისგან მართლაც ბევრი რამ ვისწავლე.

***– ლუიშ ფელიპე სკოლარის დანიშვნაზე რა აზრის ხართ?***

– მისგან ყველა ძალიან ბევრს ელის. სკოლარი დიდებული მწვრთნელია და გარდა ამისა, შესანიშნავი პიროვნებაც გახლავთ. მე მისი გუნდების წინააღმდეგ მითამაშია და იმედი მაქვს, რომ ამჯერად, როდესაც ერთად გავირჯებით, ყველა თამაშს მოვიგებთ.

***– ბოლოს ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედ სკოლარის ხელმძღვანელობით მოიგო (2002 წელს). როგორ გახსენდებათ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი?***

– ყველაფერი კარგად მახსოვს. მაშინ 10 წლის ვიყავი და დილით ძალიან ადრე ვდგებოდი, რადგან ბრაზილიის დროით მატჩები სწორედ მაშინ იწყებოდა. ბრაზილიას მთელი გულით ვქომაგობდი და ყველა გოლი, განსაკუთრებით ფინალური შეხვედრის გოლები, ძალიან კარგად მახსოვს.

***– რამდენად მნიშვნელოვანია კონფედერაციის თასი, თანაც იმის ფონზე, რომ ბრაზილიას ბოლო წლებში ოფიციალური მატჩები არ უთამაშია?***

– ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია. ზაფხულში მსოფლიოს წამყვან გუნდებს დავუპირისპირდებით და იოლი მატჩები ნამდვილად არ გვექნება. კონფედერაციის თასი მუნდიალისთვის მოსამზადებლად და გუნდის ჩამოსაყალიბებლად უნდა გამოვიყენოთ.

***– მზად ხართ იმ ზეწოლასთან გასამკლავებლად, რომელიც ორ საშინაო ტურნირზე იქნება?***

– ჩვენ წნეხს ყოველთვის ვგრძნობთ, მიუხედავად იმისა თუ სად ვთამაშობთ, მაგრამ სახლში, რა თქმა უნდა, ზეწოლა ერთიორად დიდი იქნება. საბედნიეროდ, კარიერის განმავლობაში ფინალები მომიგია და ვიცი რას ნიშნავს, როდესაც შენგან გამარჯვებას ელიან. ბრაზილიელი ფეხბურთელები ზეწოლას მიჩვეულნი ვართ, ასე რომ, ეს ჩვენთვის პრობლემა არ იქნება.

***– ეთანხმებით თუ არა რონალდოს მოსაზრებას, რომელმაც განაცხადა, რომ ბრაზილია ამჟამად ხუთ წამყვან ნაკრებს შორის არ არის?***

– ფიფას რეიტინგის მიხედვით ბრაზილია ხუთეულში ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩვენ ბევრს ვშრომობთ იმისთვის, რომ წარმატებას მივაღწიოთ. დიდი ხანი არ არის, რაც ერთად ვთამაშობთ, შედარებით ახალი გუნდი გვყავს და შესათამაშებლად გარკვეული დრო გვჭირდება.

***– რას ისახავთ მიზნად 2013 წელს?***

– მსურს, რომ „სანტოსთან“ ერთად ყველა შესაძლო ტიტული მოვიგო. იგივე ეხება ბრაზილიის ნაკრებსაც – მთავარი მიზანი ყველა მატჩის და კონფედერაციის თასის მოგებაა.

***– 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ისევ „სანტოსში“ იქნებით?***

– არ ვიცი. ჩემ კონტრაქტს ვადა 2014 წელს გასდის, იქამდე კი ძალიან დიდი დროა. ახლა ნამდვილად ვერ გეტყვით, რა მოხდება. როდესაც დრო მოვა, ამ თემაზე აუცილებლად დავილაპარაკებთ და გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ.

***– დანი ალვეშმა გვითხრა, რომ „ბარსელონაში“ გადასვლისკენ მოგიწოდებთ.***

– დანი ყოველთვის მავიწროვებს და ზეწოლის ქვეშ მაქცევს.

***– მიგაჩნიათ, რომ ბრაზილიაში დიდი ხნით დარჩენა თქვენ განვითარებას ხელს შეუშლის?***

– არა. განვითარება და გაზრდა ყველგან შესაძლებელია. ჩემი აზრით, წლიდან წლამდე ვუმატებ და უკეთესი მოთამაშე ვხდები. ზოგ ადამიანს მიაჩნია, რომ წინსვლისთვის ბრაზილიიდან წასვლაა საჭირო, მაგრამ მე მათ არ ვეთანხმები.

***– თქვენ მხოლოდ 20 წლის ბრძანდებით, არადა უკვე საკმაოდ პოპულარული ხართ. რამდენად რთულია, როდესაც ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ამდენი ადამიანი გიცნობს?***

– ბევრი რამ ჩემ ცხოვრებაში ძალიან სწრაფად მოხდა, მაგრამ მე ამ ყველაფრისთვის მზად ვიყავი, რადგან ყველაფერს მძიმე შრომის შედეგად მივაღწიე. ვიმედოვნებ, რომ კიდევ ბევრ ტიტულს მოვიგებ და ზრდას გავაგრძელებ. მსურს, რომ კიდევ უფრო უკეთესი ფეხბურთელი და უკეთესი პიროვნება გავხდე.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# რიგგარეშე არჩევნები ფეხბურთის ფედერაციაში არ იქნება

24-25 იანვარს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელთა შეხვედრა შედგა და უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. ნიონში საქმიანი ვიზიტით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე იმყოფებოდნენ.

სხვადასხვა საკითხებთან ერთად შვეიცარიაში გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ ევროპის ჩემპიონატს 2016 წელს საფრანგეთის 10 ქალაქი უმასპინძლებს: ბორდო, ლანსი, ლილი, ლიონი, მარსელი, ნიცა, პარიზი, სენ-დენი, სენტ-ეტიენი და ტულუზი.

უეფას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ევრო 2020-ის ფინალური ეტაპის თამაშებს ერთის ნაცვლად 13 ქვეყანა მიიღებს. მიშელ პლატინის ინიცირებული პროექტი ევროპის ფეხბურთის მესვეურთა შორის დიდი პოპულარობით და მხარდაჭერით სარგებლობს. ნიონში მიღებული გადაწყვეტილებით, ფინალური ეტაპის თამაშები 13 ქვეყანაში გაიმართება. თითო ქვეყანას მხოლოდ ერთი სტადიონის წარდგენის უფლება აქვს. უეფა განაცხადების მიღებას აპრილიდან დაიწყებს.

საქართველოში დაბრუნებულმა ზვიად სიჭინავამ და რევაზ არველაძემ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ზემოხსენებულ თემასთან დაკავშირებით ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხეს.

**რევაზ არველაძე:**

– უეფას აღმასკომის ძირითადი საკითხი იყო ფიფაში შესატანი ცვლილებების პაკეტის განხილვა, ძირითად პრინციპებზე შეჯერება და საერთო პოზიციის დაფიქსირება. ბუნებრივია, ყველა საკითხზე თავიდანვე ვერ შევთანხმდით; იყო პატარ-პატარა შენიშვნები, მაგრამ საბოლოოდ თითქმის ერთსულოვნად ჩამოვაყალიბეთ რეზოლუცია, რომელიც 53 ქვეყნის სახელით გაიგზავნება ფიფაში. მეორე საკითხი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ვიყავით იმ ქვეყნების სიაში, ვისაც აქამდე არ ჰქონდა გამოცდილება, საკუთარ ქვეყანაში ჩაეტარებინა პროლიცენზირების კურსები და გაეცა შესაბამისი სერთიფიკატი. თუმცა ჩვენ ეს უფლება უკვე მოგვეცა. ამ მნიშვნელოვანი ამბის შესახებ სფფ-ის მწვრთნელთა ლიცენზირების განყოფილებასთან ერთად უახლოეს დღეებში შეგხვდებით და ყველაფერს დაწვრილებით გეტყვით. ანუ საქართველოში, ქართულ ენაზე, ჩვენს მწვრთნელებს ექნებათ საშუალება, გაიარონ პრო-კატეგორიის ლიცენზირება და სფფ-ისგან მიიღონ უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელის სტატუსი, რაც მათ უფლებას მიანიჭებთ, იმუშაონ ნებისმიერ კლუბში, მთავარი მწვრთნელის პოსტზე. შემიძლია გითხრათ, რომ ეს ფინანსური თვალსაზრისითაც მომგებიანია, რადგან სწავლება ჩვენთან ბევრად შეღავათიან ფასებში იქნება. გვაქვს კიდევ ერთი კარგი ამბავი: უეფას შესაბამის კომიტეტში მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, მომავალი შესარჩევი ციკლიდან საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები „ადიდასის“ ფირმის ეკიპირებით შეიმოსებიან და როგორც უკვე გითხარით, ამ პროექტში ჩვენი უშუალო პარტნიორი უეფა იქნება. მოგეხსენებათ, ჩვენნაირი ქვეყნებისთვის „ადიდასი“, ცოტა არ იყოს და, ფუფუნებაა ფინანსური თვალსაზრისით, თუმცა, უეფას მატერიალური თანამონაწილეობა ბევრ რამეს განსაზღვრავს. რაც შეეხება 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს, მათ ეკიპირებას „ადიდასისგან“ უკვე უშუალოდ სფფ შეიძენს. ამ თემაზე მუდმივი მოლაპარაკების რეჟიმში ვიქნებით თურქულ მხარესთან, რომ ჩვენი ყველა ნაკრები ერთნაირი ეკიპირებით იყოს შემოსილი, რაც, ბუნებრივია, ჩვენი იმიჯისთვისაა კარგი. ასევე, გვქონდა უაღრესად საინტერესო შეხვედრა ერთ-ერთ შვეიცარიულ ბანკთან, სადაც გადაწყდა, რომ ამიერიდან ბანკის კომიტეტი განიხილავს ყველა ჩვენს წარდგენილ პროექტს, რაშიც შეიძლება ჩვენი პარტნიორი ბანკის ფინანსური კონტრიბუცია დაგვჭირდეს და შესაძლებლობა მოგვეცემა, ჩვენთვის საინტერესო პროექტებზე ძალიან იაფ სესხზე ვიმუშაოთ. ამ პროექტშიც უეფა, როგორც მესამე მხარე, ჩვენი პარტნიორი იქნება. ანუ ჩაფიქრებული გვაქვს ძალიან სერიოზული და მასშტაბური პროექტი ქართული ფეხბურთის დასახმარებლად და სწორედ ამაში დაგვჭირდება შვეიცარიულ ბანკთან თანამშრომლობა და მისი, როგორც სფფ-ის პარტნიორი ბანკის საქართველოში შემოყვანა. ასე რომ, შესაძლებელია, ამ წლის განმავლობაში სფფ-ს გამოუჩნდეს დამატებითი ფინანსური წყარო, რომელიც ჩვენს პროექტებს დააფინანსებს.

სფფ-ის პრეზიდენტმა კი კიდევ ერთ აქტუალურ საკითხზე – ევრო 2020-ის შესახებ ისაუბრა, რომელიც ქართული მედიისა და გულშემატკივრების მუდმივი ინტერესის საგანია:

**ზვიად სიჭინავა:**

– აბსოლუტურად მესმის ის ინტერესი, რაც ამ თემის გარშემო ტრიალებს და კვლავაც გაგიმეორებთ, რომ შანსები ყოველთვის არის. თუ გახსოვთ, ბევრს არ სჯეროდა იმ პროექტების განხორციელების, რასაც მივაღწიეთ და უკვე სამუშაო პროცესშიც ვართ. ევრო 2020-ის გარშემო სულ ვტრიალებთ და ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული ჩვენს ურთიერთობებზე უეფაში, სხვა ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებთან, ჩვენს პარტნიორებთან და ა.შ. ყველა დონის ყველა შეხვედრაზე, რაც კი ამ წლის განმავლობაში გვექნება, ჩვენ ამ საკითხზე ვისაუბრებთ. უეფაში მე პირდაპირ დავაფიქსირე ჩემი აზრი და ვთქვი, რომ ევროპის ჩემპიონატის თუნდაც ერთი თამაშიც რომ გაიმართოს თბილისში, ესეც კი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის და ქართველი გულშემატკივრისთვის, იმიტომ, რომ ევროპის ჩემპიონატის 60 წლისთავი მარტო ევროპის წამყვანი ქვეყნებისთვის კი არა, ჩვენთვისაც ზეიმი უნდა იყოს. ვერც კი წარმოიდგენთ, იმდენ დეტალს, იმდენ სიმბოლოს აქვს მნიშვნელობა და ჩვენ ამას უეფას ყოველთვის ვახსენებთ. გვინდა, რომ ამ დიდი ზეიმისთვის მთელი ქვეყანა, გულშემატკივრები და, რა თქმა უნდა, ფეხბურთის ფედერაცია ერთად მოემზადოს. ქართველ გულშემატკივარს ვპირდებით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ ამ შესანიშნავი შანსის მისაღებად და იმ დიდი ზეიმისა და სიხარულის საქართველოში ჩამოსატანად, რასაც ევროპის ჩემპიონატი ჰქვია. უეფას ვებგვერდზე უკვე დაიწერა ამის შესახებ და იქ ნათქვამია, რომ ჩემპიონატის მასპინძელი უნდა იყოს 13 ქალაქი. ვიმეორებ, ჩვენ ერთ თამაშზეც კი თანახმა ვართ, მაგრამ ისიც კარგ ვარიანტად მიმაჩნია, რომ ერთი ჯგუფის რამდენიმე თამაშით თბილისმაც იხეიროს, ბაქომაც და ერევანმაც... მოკლედ, თემა ძალიან ვრცელია, ვარიანტიც – არაერთი და, შესაბამისად, ქალაქის ინფრასტრუქტურა და უამრავი საკითხი მოსაწესრიგებელი – სასტუმროები, ტრანსპორტი, რაზეც არაერთხელ გვისაუბრია. საქმე ისაა, რომ ამ ეტაპზე, ამდენს ვერ გავწვდებით, თორემ, საშუალება რომ იყოს, მთელ ჯგუფს სიამოვნებით ვუმასპინძლებდით და წარმოიდგინეთ, ეს ქართველებისთვის რამხელა ზეიმი იქნებოდა...

აღსანიშნავია, რომ პრესკონფერენცია დაგეგმილზე გვიან დაიწყო. ამის მიზეზი კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ორგანიზაცია „ქართული ფეხბურთის“ წარმომადგენლებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების შეხვედრა იყო. როგორც ირკვევა, ამ შეხვედრაზე სფფ-ს რიგგარეშე ყრილობის საკითხი განიხილეს. სფფ-ის მხრიდან შეხვედრაზე იმყოფებოდნენ გენერალური მდივანი რევაზ არველაძე, ვიცე-პრეზიდენტები გია ფირცხალავა და მურთაზ ხურცილავა, „ქართული ფეხბურთის“ მხრიდან კი – მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული. შეხვედრას ესწრებოდა სპორტი-



სა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი.

ვეტერანმა ფეხბურთელებმა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს ურჩიეს, რომ დაინიშნოს რიგგარეშე საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა და გაიმართოს რიგგარეშე არჩევნები, რათა ქართულ ფეხბურთში აღდგეს სამართლიანობა.

**რევაზ არველაძე:**

– შეხვედრა ეხებოდა ქართულ ფეხბურთს, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირითადი საუბარი იყო რიგგარეშე საარჩევნო-საანგარიშო ყრილობის შესახებ. არ გავა კვირა, რომ ეს თემა არ გახდეს აქტუალური, ჩვენი ვიზიტის წინ უფლებადამცველების გამოსვლა იყო, საუბარი უეფაშიც იყო ამ საკითხზე. შემიძლია პლატინის სიტყვები მოვიშველიო და ვთქვა, რომ არც საქართველოს კანონმდებლობით და არც ფიფასა და უეფას წესების მიხედვით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ დგას. ფეხბურთი ძალიან რთული თემაა. მე, როგორც სფფ-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, შემიძლია ვთქვა, რომ ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ არაა ისე, როგორც ჩვენ გვსურს, მაგრამ დღეს ჩვენ ვართ ამ ორგანიზაციის სათავეში და პრობლემებს ისე ვაგვარებთ, როგორც საჭიროდ ვთვლით – ამ საქმეში წარმატებებიც გვაქვს და წარუმატებლობებიც. თქვენ იცით მინისტრის პოზიცია სფფ-ს ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. მინისტრის აზრით, ზვიად სიჭინავას უნდა გადაეხედა თავისი პოზიციისთვის და გადაწყვეტილება შეეცვალა, თუმცა ჩვენ არ ვაპირებთ რაიმეს გადახედვას და არც გადაწყვეტილებას შევცვლით – სფფ-ს ამჟამინდელი ხელმძღვანელობისთვის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები 2015 წელს გაიმართება.

**ზვიად სიჭინავა:**

– მე ამ შეხვედრაზე არ გახლდით, შემდეგ გავიგე, რაზეც ისაუბრეს. როგორც იცით, საუბარი შეეხო სფფ-ს რიგგარეშე საარჩევნო-საანგარიშო ყრილობას. მე ჩემი პოზიცია ამ საკითხზე ერთხელ უკვე დავაფიქსირე და ახლაც ვიმეორებ, რომ გადადგომას და რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას არ ვაპირებ. ვეტერანები შეხვდნენ სფფ-ს წარმომადგენლებსა და მინისტრს გააცნეს მათი პოზიცია, მაგრამ მე იქ არ ვყოფილვარ, შესაბამისად, ჩემი შეხედულება არ მოუსმენიათ.

**ლევან ყიფიანი:**

– ჩვენ დროგამოშვებით ვმასპინძლობთ ვეტერან ფეხბურთელებს და ვმსჯელობთ იმ პრობლემებზე, რომლებიც დღეს ქართულ ფეხბურთშია. უამრავი საკითხია გადასაწყვეტი და არავისთვისაა ახალი, რომ არსებობს დაპირისპირებაც. ვფიქრობ, როცა ასეთი სიტუაციაა, საჭიროა ვინმემ მედიატორის როლი შეასრულოს – ჩვენი სამინისტრო სწორედ ამიტომ მართავს შეხვედრებს როგორც ვეტერანებთან, ასევე სფფ-ს მესვეურებთან. აბსურდია იმაზე საუბარი, რომ ამით კანონი ირღვევა. სათქმელია ისიც, რომ მსგავსი საქმიანი შეხვედრები მხოლოდ ვეტერან ფეხბურთელებთან კი არა, სხვა სახეობების წარმომადგენლებთანაც იმართება. კიდევ ერთხელ ვაცხადებ: ჩვენი სამინისტროს კარი ღიაა ქართული სპორტის წარმატებებით დაინტერესებული ყველა ადამიანისთვის. ასევე მსურს ვთქვა, რომ ჩემი, როგორც მინისტრის მხრიდან, ობიექტურობა ყოველთვის დაცული იქნება მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე ხელმძღვანელთან მხოლოდ საქმიანი კი არა, ნათესაური ურთიერთობაც მაკავშირებს. ჩემთვის მთავარია, რომ მხარეები შეთანხმდნენ და ეს ქართულ ფეხბურთს წაადგეს.

# შედეგები

## ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

დ.კონგო-მალი ............................ 1:1
ნიგერი-განა ................................ 0:3

**ესპანეთი. პრიმეია დივიზიონი**

სევილია-გრანადა ........................ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 71:24 | 58 |
| 2.ატლეტიკო | 21 | 15 | 2 | 4 | 42:21 | 47 |
| 3.რეალი | 21 | 13 | 4 | 4 | 54:20 | 43 |
| 4.მალაგა | 21 | 10 | 5 | 6 | 33:19 | 35 |
| 5.ბეტისი | 21 | 11 | 2 | 8 | 31:33 | 35 |
| 6.რაიო | 21 | 11 | 1 | 9 | 30:36 | 34 |
| 7.ვალენსია | 21 | 10 | 3 | 8 | 30:34 | 33 |
| 8.ლევანტე | 21 | 10 | 3 | 8 | 26:30 | 33 |
| 9.სოსიედადი | 21 | 8 | 6 | 7 | 32:28 | 30 |
| 10.ვალიადოლიდი | 21 | 8 | 4 | 9 | 30:27 | 28 |
| 11.სევილია | 21 | 7 | 5 | 9 | 27:29 | 26 |
| 12.ხეტაფე | 21 | 7 | 5 | 9 | 27:33 | 26 |
| 13.ბილბაო | 21 | 7 | 4 | 10 | 27:39 | 25 |
| 14.სარაგოსა | 21 | 7 | 2 | 12 | 20:30 | 23 |
| 15.ესპანიოლი | 21 | 5 | 7 | 9 | 23:32 | 22 |
| 16.სელტა | 21 | 5 | 5 | 11 | 21:26 | 20 |
| 17.გრანადა | 21 | 5 | 5 | 11 | 18:32 | 20 |
| 18.ოსასუნა | 21 | 4 | 6 | 11 | 17:26 | 18 |
| 19.მალიორკა | 21 | 4 | 5 | 12 | 22:39 | 17 |
| 20.დეპორტივო | 21 | 3 | 7 | 11 | 26:45 | 16 |

**იტალია. სერია ბ**

იუვე სტაბია-ბრეშა ..................... 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

დიჟონი-ლანსი ............................ 2:1

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**

ვოლენდამი-ალმერე ..................... 2:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

პორტუ-ჟილ ვისენტე ..................... 5:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-არისი ............................ 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ესკიშეჰირი-ორდუ ........................ 1:0

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-საკრამენტო ......... 94:96
ტორონტო-გოლდენ სტეიტი 102:114
ფილადელფია-მემფისი .......... 100:103
ბრუკლინი-ორლანდო ............... 97:77
ჩიკაგო-შარლოტი ..................... 93:85
დენვერი-ინდიანა .................. 102:101
იუტა-ჰიუსტონი ...................... 80:125

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

კაროლინა-ბოსტონი ...................... 3:5
კოლამბუსი-დალასი ...................... 2:1
ფინიქსი-ნეშვილი ......................... 4:0
ედმონტონი-კოლორადო .............. 4:1
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი. 2:2(1:0ბ)

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# კოტე მარჯანიშვილის მემუარები საჯაროა

როგორებიცაა კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, ნატო ვაჩნაძე, ზაქარია ფალიაშვილი და ნებისმიერი ის დიდი ვარსკვლავი, რომელიც ქართულ სასცენო თუ სხვა სახელოვნებო სცენას ამშვენებდა. ისინი იმსახურებენ იმას, რომ საზოგადოებაში პოპულარულები იყვნენ. მათი უმეტესობა 60 პროცენტი გამოუცემელია და ქართველმა საზოგადოებამ მათ შესახებ არაფერი იცის. ყოველთვის მსურდა, რომ ეს უნიკალური მასალები ფართო საზოგადოებამდე მიგვეტანა. ყველა ის დიდი სახელი, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დავანებული, ქართველი ერის კუთვნილებაა. გამიხარდა, რომ გამომცემლობა „გუმბათი" ჩვენს სურვილს გამოეხმაურა და ეს პროექტი დაიწყო. ეს არ არის ჩვეულებრივი პროექტი, ეს არაჩვეულებრივი პროექტია. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ეს ინტელექტუალური ცოდნა „ტოვებს" ჩვენს საცავებს და გამოდის ფართო საზოგადოების წინაშე. ვფიქრობ, ამ გენიოსებმა ეს ინტელექტუალური ცოდნა შექმნეს იმისთვის, რომ მას ფართო საზოგადოება გაეცნოს. ამჟამად გვაქვს პირველი ტომის კოტე მარჯანიშვილის პრეზენტაცია. ძალიან დიდხანს ვფიქრობდით, ღირდა კი ამხელა ცოდნის ასე ფართო სამსჯავროზე გამოტანა, მაგრამ ვფიქრობ, ღირდა, რადგან ეს გამოცემა მართლაც რომ ქართული სასცენო ხელოვნების ისტორიაში გადატრიალებას მოახდენს. 4 წელია ამ მუზეუმის ხელმძღვანელი ვარ და მეგონა, რომ ბევრი რამე ვიცოდი ძალიან ბევრი ცნობილი მოღვაწისა და ხელოვანის შესახებ. აღმოჩნდა, რომ არაფერი არ ვიცი, ახლა რომ ვკითხულობ, ვხვდები, რომ მათ შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია მქონდა. ვიტყვი იმასაც, რომ ეს არის მართლაც დიადი ისტორია ბოლო პერიოდის თანამედროვე ქართული ხელოვნებისა, ზოგჯერ მძიმე, ზოგჯერ ტრაგიკული, მაგრამ ძალიან საინტერესო. მშურს ქართველი მკითხველის, რომელსაც ელის ძალიან საინტერესო თავგადასავლების არათუ წაკითხვა და მოსმენა, არამედ ამ თავგადასავლებში მონაწილეობაც. ჩვენ უკვე დავიწყეთ რუსულიდან ქართულად თარგმნა სანდრო ახმეტელის მოგონებებისა, მათ შორის ვთარგმნით მოგონებას, რომელიც შეეხება მის შეხვედრას სტალინთან და კიროვთან. არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ რამდენიმე ღამე არ მეძინა, ამ მოგონებების წაკითხვის შემდეგ. ასეთი სიამოვნება ელის ქართველ მკითხველს კოტე მარჯანიშვილის წიგნის გაცნობისასაც. ასჯერ ნათქვამს ერთხელ წაკითხვა სჯობია, ამიტომ წიგნი თქვენ წინაშეა და რომ წაიკითხავთ, თავად განსაჯეთ. დიდი მადლობა ბატონ სოსოს, რადგან მასთან ურთიერთობა არის ძალიან კომფორტული, ადვილი და სასიამოვნო, ჩვენ კი ძალიან გვიყვარს საქმიან ადამიანებთან ურთიერთობა.

— *რა სიხშირით გამოიცემა ეს წიგნები?*

— ფაქტიურად ხუთი ტომი უკვე მზად გვაქვს. მზად არის მიხეილ ჭიარული, ძმები ბალანჩივაძეები, ლადო მესხიშვილი, ნატო ვაჩნაძე, სანდრო ახმეტელი, სესილია თაყაიშვილი, სერგო ზაქარიაძე. ტომების რაოდენობის თქმაც კი გამიჭირდება, რადგან ძალიან ბევრია ეს სახელი და ეს არის შეუზღუდავი ფონდი. სანდრო ახმეტელი მეგონა, რომ იყო დიდი რეჟისორი და როცა მისი კითხვა დავიწყე, აღმოვაჩინე, რომ ის არის ძალიან დიდი მწერალიც. სამეცნიერო საარქივო მასალა ფაქტიურად გახდა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

**სოსო გოგინაშვილი, პროექტის ავტორი:**

— ჩვენი ურთიერთობის შედეგად შეიქმნა ის წიგნი, რომლის პრეზენტაციაც ახლა გვქონდა. პროექტი „ქართული კულტურის ოქროს ფონდი" ემსახურება იმის ჩვენებას, რაც ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ კიდევ ერთხელ შეხსენება და მისი საფუძვლიანად გაცნობა ნამდვილად არ გვაწყენს. ქართული კულტურა არის ის ფენომენი, რომელზედაც ჩვენ ვდგავართ და რომლითაც მომავალშიც ვიამაყებთ. პირველი ტომი არის კოტე მარჯანიშვილი, რომელიც ძალიან საინტერესო პიროვნებად მოგეჩვენებათ, როცა წაიკითხავთ. მისი მომსწრე პრაქტიკულად აღარავინ არის, ჩვენ ძალიან მხცოვანი ადამიანების გადმოცემით ვიცით, როგორი ადამიანი იყო, ყველას თვალწინ ის არის კულტურის სერიოზული მოღვაწე, გენიალური რეჟისორი და არაჩვეულებრივი სპექტაკლების ავტორი, მაგრამ როცა ამ წიგნს გაეცნობით, თქვენ თვალწინ გაცოცხლდება ადამიანი — ძალიან საინტერესო, ცოცხალი, მოუსვენარი და გაცილებით უფრო მეტი ღვაწლის მატარებელი, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. ამ წიგნშია მისი პირადი წერილები მიძღვნილი მეუღლისადმი, ასევე მოგონებები მისი მეუღლისა, როგორ გაიცნეს ერთმანეთი, მათი სიყვარულის ისტორია კარგად არის გადმოცემული. თავად კოტე მარჯანიშვილის მემუარებიც არის ამ წიგნში, სადაც ძალიან თავმდაბლად აღწერს თავის მოღვაწეობას განსაკუთრებით რუსეთში, სადაც ყვარელში დაბადებული პატარა ბიჭი წავიდა და შეიძლება ითქვას, რომ 10-15 წლის განმავლობაში მთლიანად დაიპყრო იქაურობა და უდიდეს რეჟისორად დაბრუნდა. არის აგრეთვე წერილი, სადაც საბჭოთა ერთ-ერთი მინისტრი ქართველებს აფრთხილებს, თუ წესიერად არ მოექცევით კოტე მარჯანიშვილს, იცოდეთ, წაგართმევთ და უკან წავიყვანთ მოსკოვშიო. სამწუხაროდ, მართლაც ისე მოხდა, რომ მან თავისი ცხოვრების ბოლო წლები მოსკოვში გაატარა. აქაც თავი იჩინა ერთგვარმა ქართულმა გაუტანლობამ, მას სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ მოსკოვში წასულიყო, მაგრამ ამის მიუხედავად, ის ბოლომდე დარჩა ქართველად, ბოლომდე დარჩა დიდ ქართველ რეჟისორად და დიდ ადამიანად. ძალიან დიდ სიამოვნებას მიიღებთ ამ წიგნის კითხვისას. ჩემთვის რომ გეკითხათ, 4 თვის წინ ვინ იყო კოტე მარჯანიშვილი, გეტყოდით, რომ იყო დიდი რეჟისორი და დგამდა მაგარ სპექტაკლებს. რაც მისი მემუარების კითხვა დავიწყე, ჩემთვის გაცოცხლდა ადამიანი, თავისი ვნებებით, თავისი პლუსებით, თავისი ქართული მინუსებით და თავისი გენიალური ქართველობით. გირჩევთ, წაიკითხოთ თავიდან ბოლომდე, მერწმუნეთ, დიდ სიამოვნებას მიიღებთ. რაც შეეხება ამ მუზეუმს და მის ხელმძღვანელს, ვიტყოდი, რომ ძალიან გაგვიადვილდა მასთან ურთიერთობა. როცა ურთიერთობა და საქმის კეთება ავსებს ერთმანეთს, ბევრი კარგი რამ კეთდება. ქართველებს როცა გვინდა, შეგვიძლია ერთად ბევრი დიდი და კარგი საქმის გაკეთება.

**გოჩა კაპანაძე, რეჟისორი:**

— წიგნის გადაკითხვა უკვე მოვასწარი, ძალიან საინტერესო მასალებით არის გაჯერებული და დარწმუნებული ვარ მისი ცხოვრების ბევრი უცნობი ფაქტი იქნება შეტანილი. ძალიან საინტერესოა ფოტოგალერეაც, რამდენიმე ფოტო ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩემთვის, თუნდაც თამარ ჭავჭავაძე ლამარას როლში, ყველამ ვიცოდით, რომ ქალბატონი თამარ წულუკიძე თამაშობდა ამ როლს. ეს ფოტო პირველად ვნახე. აღვფრთოვანდი ფოტოთი, სადაც მოხუცი კოტე მარჯანიშვილია გრიშაშვილისა და უშანგის გვერდით. წიგნმა უკვე ჩამითრია, საერთოდ მიყვარს მემუარული ლიტერატურის კითხვა, განსაკუთრებით ბატონი კოტესი. ინიციატივა ძალიან კარგია, მოვისმინე, რომ ახმეტელს თარგმნიან და დიდი ინტერესით ველოდები. კარგია, რომ ეს ფონდები იხსნება, ძალიან ბევრი საგანძურია მაგ მუზეუმში, ძალიან ბევრი რეჟისორისა და მსახიობის ფონდები ბოლომდე შესწავლილიც არ არის შეიძლება. ყველა მასალას უკვე სხვანაირად კითხვა უნდა, კოტე მარჯანიშვილი არის რეჟისორი, რომელმაც ევროპული თეატრი შემოიტანა ქართულ თეატრში. მან პირველად დადგა არა ქართული დრამატურგია, არამედ ცხვრის წყარო და ამით გახსნა თეატრი. მას გორდონ კრეგთან ჰქონდა ძალიან დიდი ურთიერთობა. ამ ადამიანმა ძალიან შეცვლა იმ დროისთვის თეატრალური აზროვნება ევროპაში, კოტე მარჯანიშვილი მასთან წლების განმავლობაში მეგობრობდა. ეს ბევრ რამეს ნიშნავს. თუნდაც მისი ფილმი ავიღოთ, მან ცვაიგის „ამოკი" გადაიღო. ის ევროპული დონის რეჟისორი იყო, განათლებაც ევროპული ჰქონდა. მას მიაჩნდა ასე, რომ რეჟისურა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ნაციონალური ხასიათებით, თუმცა ყველა მის სპექტაკლში ჩანდა, რომ ის იყო ქართველი, ძალიან დიდი და ბრწყინვალე თვალი ჰქონდა, იმიტომ რომ მან ქართულ თეატრს დაუტოვა უდიდესი არტისტები. ეს მისი გემოვნების, მისი თვალის, მისი განჭვრეტის და მისი ალღოს დიდი დამსახურებაა. ეს გემოვნებაზე მეტყველებს. თუნდაც ის, რომ მან ქართულ თეატრში მოიყვანა ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. ის არა მარტო დიდი რეჟისორი იყო, ის იყო დიდი პედაგოგი, თუმცა პედაგოგი არა პირდაპირი გაგებით, მაგრამ ის იყო ძალიან მაღალი რანგის შემოქმედი თავის თავში და ამავე დროს ძალიან პროგრესული. მან პირველმა გამოსცადა ქართულ თეატრში კინოხერხები, ეს მაშინ ძალიან ნოვატორული იყო და მგონი, ევროპაშიც იშვიათად მოიპოვება რეჟისორი, ვინც ეს გააკეთა. კოტე მარჯანიშვილი მრავალმხრივ განათლებული კაცი იყო, აგრეთვე იყო ადამიანურად ძალიან სევდიანი და დიდი ტრაგედიის მატარებელი. თუნდაც მისი და, რომელიც დიდი საეკლესიო მოღვაწე იყო, მისი სიცოცხლის გადარჩენისთვის ძალიან მაღალი რანგის პარტიულ პიროვნებებსაც შეხვდა. მათ შორის ლუნაჩარსკის და მგონი, მიმოწერაც იყო ორჯონიკიძესთან. იმ პერიოდში და იმ ეპოქაში კოტე მარჯანიშვილმა შექმნა ძალიან ქართული და ამავე დროს ევროპული თეატრი, ეს არ იყო სახუმარო საქმე. დარწმუნებული ვარ, ის რომ გულის შეტევით არ გარდაცვლილიყო, იგივე ბედს გაიზიარებდა, რაც დაემართა ახმეტელს. მას 37 წელი ნამდვილად არ ასცდებოდა. ის არ ეწერებოდა იმ სოცრეალიზმში და სოცსისტემაში, ის არ ასრულებდა პარტიულ შეკვეთილ სპექტაკლებს, ამიტომ დახვრეტას ვერ გადაურჩებოდა. ამ წიგნით ჩემთვის კოტე მარჯანიშვილი კიდევ ერთხელ გაცოცხლდება. ახლა ვეპარები წიგნს. მინდა ორი-სამი თავის წავიკითხო და მერე ცოტა ხანს შევისვენებ.









**ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:**

— მუზეუმი ეწევა ძალიან მნიშვნელოვან ეროვნულ საქმიანობას. ამ გამოცემათა ციკლს უდიდესი დატვირთვა აქვს არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ პროფესიონალებისთვისაც. ძალიან კარგია, რომ ასე ფართოდ გაიღო უნიკალური საცავის კარი და ჩვენ, რიგით მკითხველებს მათი გაცნობის საშუალება მოგვეცა. მუზეუმის გაცოცხლებაც ამას ნიშნავს, როცა ის აქტიურია და სხვადასხვა მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებებს ატარებს. ბევრ თეატრმცოდნეს და თვითონ მოღვაწეს არ ხელეწიფება იმდენი და არ არის მოწადინებული ამ საქმიანობის, რომლებიც უშუალო საქმიანობა ეს უნდა იყოს. გიორგი ნამდვილად ასრულებს თავის საქმეს უმაღლეს დონეზე. პირველი გამოცემა იყო გიორგი ერისთავის კატალოგი, რომლის პრეზენტაცია ქართული თეატრის დღეს გაიმართა, ახლა კი დაიწყო უნიკალური პროექტი „ქართული თეატრის ოქროს ფონდი", რომელიც კოტე მარჯანიშვილს მიეძღვნა. წარმატებებს ვუსურვებ გამომცემლობა „გუმბათს" და კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმს ამ მნიშვნელოვან საქმიანობაში.

**ზურა გეწაძე, მსახიობი, რეჟისორი:**



— მივესალმები გამომცემლობა „გუმბათის" და მუზეუმის ამ ინიციატივას, ძალიან საინტერესოა. იმით არის ეს მნიშვნელოვანი, რომ უნიკალურმა საარქივო მასალებმა, რომელიც საზოგადოების სამსჯავროზე გამოვა, შეიძლება სულ გადაატრიალოს ის წარმოდგენა, რაც ჩვენ გვქონდა იმ პერიოდის ქართულ თეატრზე. ახლა კონკრეტულად კოტე მარჯანიშვილზე ვსაუბრობ და მისი წიგნის გაცნობითაც შეიძლება საბჭოთა პერიოდის ქართული თეატრის ისტორია სულ სხვა თვალით დავინახოთ. ყველა თეატრალი და რეჟისორი უნდა იცნობდეს კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებას ისე დეტალურად, როგორც ამ გამოცემაშია. კოტე მარჯანიშვილი უდიდესი ფიგურაა, ის არის რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების დამაარსებელი, ნოვატორი ქართული თეატრისა, ამიტომ მის შესახებ ნებისმიერი ახალი ინფორმაციის გაგება, ყოველთვის საინტერესოა.

**თენგიზ უთმელიძე, მოცეკვავე:**

— კოტე მარჯანიშვილი აღიარებულია თეატრალური ხელოვნების და კერძოდ ქართული თეატრის ერთ-ერთ თვალსაჩინო რეფორმატორად. როგორც ცნობილია, მან თავისი მოღვაწეობა რუსეთში დაიწყო, სადაც ჩამოყალიბდა მისი რეჟისორული მრწამსი, მაგრამ კოტე მარჯანიშვილის ტალანტი, სრულად საქართველოში გაბრწყინდა მის მიერ განხორციელებული თეატრალური შედევრებით — უნიკალური და დაუვიწყარი სპექტაკლებით. საქვეყნოდაა ცნობილი მისი სპექტაკლები. თითქოს ყველაფერი ცნობილია ამ დიდი პიროვნების შესახებ, მაგრამ ამ პროექტის დაწყებით, კოტე მარჯანიშვილზე ფართო საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მეტი რამ გახდება ცნობილი.

## კროსვორდი ბ





**შვეულად**: 1. თავისუფალი მოქალაქე ძველ რომში, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 2. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 3. მე-20 საუკუნის ფრანგი მწერალი, დრამატურგი, კინოსა და თეატრის რეჟისორი; 5. ბატკნის მოგების პერიოდი; 6. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მე-6 საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. ისრაელის პარლამენტი; 14. ტრაგედია „ოიდიპოს მეფეს" პერსონაჟი; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

**თარაზულად**: 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც სამაშველო ნავებია განლაგებული; 7. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 9. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 10. სააღდგომო ნამცხვარი; 12. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. მსოფლიოში უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული კომპანია; 17. რომის იმპერატორთა ტიტული; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. განსაკუთრებული ნიჭი; 21. წყალქვეშა კლდე; 22. ირანის საინფორმაციო სააგენტო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაიათი; 2. სერალი; 3. გუაში; 5. ლიპი; 6. „ჩინური"; 8. იკორთა; 11. ფერეიდანი; 13. პართოსი; 14. უკრაინა; 15. ბილაინი; 19. სურო.

**თარაზულად:** 1. ბუნდესტაგი; 4. აპალაჩი;7. იანვარი; 9. შეიკერი; 10. ეფელი; 12. პარალიზი; 16. კარლსონი; 17. არბიტრი; 18. ბანდერასი; 20. ნეპტური; 21. ზილი; 22. „გორდონსი".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სადროშო; 2. ტრევი; 3. ინტერესი; 4. ჰერეთი; 5. „შაჰნამე"; 6. „ფიპრესი"; 11. კბოდე; 13. ტრამვაი; 14. დრაგომანი; 15. კვირინალე; 17. სკვერი; 18. არაგვი; 19. კოლო.

**თარაზულად:** 7. „ბაიერი"; 8. ინტენდანტი; 9. დრაივი; 10. პელეტონი; 12. კონტრაბასი; 14. დრეიკი; 16. ასკარიდა; 18. ანაკოფია; 20. კანოე; 21. ლია; 22. ტერაკოტა; 23. ირაო; 24. მოდილიანი.

# 11 მილიონი „არალეგალი“ აშშ-ის მოქალაქეობას მიიღებს



რვა ამერიკელი სენატორისგან შემდგარმა ჯგუფმა წარმოადგინა გეგმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო სისტემაში კარდინალურ რეფორმებს ითვალისწინებს. გეგმის მიხედვით, 11 მილიონი არარეგისტრირებული იმიგრანტი, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს, შეძლებს მიიღოს მოქალაქეობა, თუ ამავდროულად სასაზღვრო კონტროლი იქნება გაძლიერებული.

სენატორები ამ წინადადებით გამოვიდნენ ერთი დღით ადრე მანამდე, ვიდრე პრეზიდენტი ბარაკ ობამა რეფორმების საკუთარ გეგმას წარმოადგენს. დამკვირვებელთა განცხადებით, კონსერვატორების მკვეთრმა პოზიციამ ამ საკითხთან მიმართებაში, მნიშვნელოვნად შეამცირა არჩევნებში რესპუბლიკელების შანსი.

დემოკრატმა სენატორმა ნიუ-იორკის შტატიდან, ჩარლზ შუმერმა პრესკონფერენციაზე იმედი გამოთქვა, რომ კანონპროექტი, რომელიც პარტიათაშორისი ჯგუფის მიერ არის მომზადებული, სენატის მიერ მხარდაჭერილი გაზაფხულის დასასრულს ან ზაფხულის დასაწყისში იქნება.

ამ თემაზე განცხადება ჯონ მაკკეინმაც გააკეთა.

„ვფიქრობ, ყველა შეთანხმდება, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებში არ არის, რომ ეს ადამიანები იმალებოდნენ. მოდით, შევქმნათ სისტემა, რომელიც მათ ნებას დართავს, გამოვიდნენ ჩრდილიდან და შეასრულონ აუცილებელი მოთხოვნები, რასაც ამ ქვეყნის კანონმორჩილი მოქალაქეები ასრულებენ“, – განაცხადა მაკკეინმა.

როგორც ვარაუდობენ, პრეზიდენტი საიმიგრაციო რეფორმების იმ ვერსიას წარმოადგენს, რომელიც ამ ჯგუფის პროექტიდან გამომდინარეობს. სხვა მცდელობები ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო სისტემის გადახედვისა, უკვე იყო 2006 და 2007 წლებში.

აშშ-ს მოსახლეობა 296 მლნ-ია (2004). ამერიკელი ერი შედარებით ახალგაზრდა პოლიეთნიკური ერთობაა, რომელიც ჩამოყალიბდა აბორიგენი მოსახლეობისა და იმიგრანტების შერევის შედეგად. მათ შორის 77,1 % თეთრია, 12,9% აფროამერიკელი, 4,2% აზიელი, 1,5% აბორიგენი ინდიელი, ესკიმოსი და ალეუტი.

# საფრანგეთი გაკოტრების ზღვარზე დგას



საფრანგეთის შრომის მინისტრის, მიშელ საპანის განცხადებით, ქვეყანა გაკოტრების ზღვარზე დგას. ამის შესახებ ბრიტანული გამოცემა „ტელეგრაფი“ იუწყება.

მინისტრის თქმით, სიტუაციიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა მკაცრი ეკონომიკური რეფორმების გატარება და საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების გეგმის შესრულებაა.

„ტელეგრაფის“ ინფორმაციით კი, შრომის მინისტრის ეს განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტის, ფრანსუა ოლანდის მიერ ქვეყნის ეკონომიკის იმიჯის გაუმჯობესების ინიციატივას მოჰყვა. პრეზიდენტის ინიციატივა შემდეგი 5 წლის განმავლობაში ხარჯების 60 მილიარდით შემცირებას და გადასახადების 20 მილიარდით გაზრდას ითვალისწინებს.

საფრანგეთი არის განვითარებული ქვეყანა და მეხუთე ადგილზეა მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით მსოფლიოში. იგი ყველაზე მეტად მონახულებადი ქვეყანაა, რომელიც ყოველწლიურად 82 მილიონ ტურისტს იღებს. იგი არის ასევე გაეროს ერთ-ერთი დამმარსებელი და წევრი შემდეგი ორგანიზაციებისა: ფრანკოფონია, დიდი რვიანი, ევროკავშირი, დიდი ოცეული, ნატო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ლათინური გაერთიანება. იგი არის გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრიდან ერთ-ერთი. მე-19 საუკუნის განმავლობაში საფრანგეთმა უზარმაზარი ტერიტორიები დაიპყრო აფრიკასა და აზიაში, მაგრამ საუკუნეთა მიჯნაზე გერმანიასთან წარმოებულმა ომებმა ძლიერ დაასუსტა მისი კოლონიური იმპერია. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში გენერალმა შარლ დე გოლმა შეძლო მეორე მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული ქვეყნის აღდგენა. დღეს სწორედ საფრანგეთ-გერმანიის აქტიური თანამშრომლობა განაპირობებს ევროპაში ინტეგრაციული პროცესების წარმართვას.

# ირანში, უცხოეთთან კავშირის ბრალდებით, 14 ჟურნალისტი დააპატიმრეს

ირანში 14 ჟურნალისტი უცხოურ მედიასთან კავშირის ბრალდებით დააპატიმრეს. ამის შესახებ „ასოშიეითედ პრესი“ იმ გამოცემების რედაქტორებზე დაყრდნობით იუწყება, სადაც დაპატიმრებული ჟურნალისტები მუშაობდნენ. დაპატიმრებები ორი დღე გრძელდებოდა. დაკავებულთა შორის 9 მამაკაცი და 5 ქალია. უცხოური გამოცემები, ვისთანაც ჟურნალისტები თანამშრომლობდნენ, არ სახელდება.

ამავე დროს, ცნობილი ხდება, რომ დაპატიმრებულები რეფორმისტების გაზეთებში, „ეტემადში“ და „შარხში“ მუშაობდნენ. ზოგიერთი მათგანი უკვე იყო პატიმარი თავის პუბლიკაციებში ხელისუფლების კრიტიკის ან ფემინიზმის იდეის მხარდაჭერის გამო. საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე ითხოვენ ირანისაგან ჟურნალისტების გათავისუფლებას.

ჟურნალისტების დაპატიმრება გაგრძელებაა ირანის მთავრობის მიერ დაწყებული ნულოვანი ტოლერანტობის კამპანიისა მედიის იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც დისიდენტურ მედიასთან თანამშრომლობენ, ან „არამეგობრულად“ და „მტრულად განწყობილად“ მიიჩნევიან.

ცოტა ხნის წინ. ირანმა „ამერიკის ხმის“ და „ბი-ბი-სის“ განყოფილებები სპარსულ ენაზე, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებთან კავშირში დაადანაშაულა. ამით ირანელ ჟურნალისტებს მიანიშნეს, რომ ამ განყოფილებებთან კავშირის გამო, მათ წინააღმდეგ შესაბამისი ზომები გატარდებოდა. ირანში 2000 წლიდან მოყოლებული 120 გაზეთი გაიხურა, ათეულობით რედაქტორი და ჟურნალისტი კი ციხეში ზის.

„ასოშიეიტიდ პრესის“ ცნობით, ირანელები, მთავრობის მცდელობის მიუხედავად, ჩაახშოს რადიო-სიხშირეები, მაინც ახერხებენ, რეგულარულად მოუსმინონ „ბი-ბი-სის“ და რადიო „ამერიკის ხმის“ ირანულ სამსახურს.

# სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა

ყაზახეთში სამგზავრო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. ბორტზე 20 მგზავრი და ეკიპაჟის 5 წევრი იმყოფებოდა. ყველა მათგანი დაიღუპა.

სამგზავრო ლაინერი „ჩელენჯერ-200“, რომელიც ავიაკომპანია „სკატს“ ეკუთვნოდა ალმა-ატის მახლობლად ჩამოვარდა.

აეროპორტამდე და თვითმფრინავის დაშვებამდე სულ 5 კილომეტრი იყო დარჩენილი.

წინასწარი ინფორმაციით, ავარია ცუდმა ბუნებრივმა პირობებმა გამოიწვია, ამ რაიონში ძლიერი ნისლი იყო. კატასტროფის შედეგების გამოძიებისათვის უკვე შექმნილია სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი.

ამავე დროს, კურიოზული შემთხვევა მოხდა ლივერპულის აეროპორტში. თვითმფრინავი ბორტზე ბევრი მამაკაცის ყოფნის გამო ვერ გაფრინდა.

როდესაც ჟენევაში მიმავალმა მგზავრებმა ადგილები დაიკავეს, თვითმფრინავის მეთაურმა მოულოდნელად გამოაცხადა, რომ სალონში რამდენიმე ადამიანი ზედმეტია.

ყველამ ირგვლივ მიმოიხედა უბილეთო მგზავრის ძიებაში. სალონში უბილეთო მგზავრები არ აღმოჩნდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ მამაკაცების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა თვითმფრინავში მყოფი ქალების რაოდენობას.



საქმე ისაა, რომ ავიალაინერის ასაფრენი მასის გაანგარიშებისას, პილოტები გამოდიან იქიდან, რომ ქალები საშუალოდ 70 კილოგრამს იწონიან, ხოლო მამაკაცები – 88კგ-ს და ორივე სქესის წარმომადგენლები ჩვეულებრივ თანაბრადაა. მაგრამ ამ რესიზე მხოლოდ 20 ქალი და 135 მამაკაცი აღმოჩნდა. აღნიშნული გარემოება გახდა რამდენიმე ასეული კილოგრამი ზედმეტი წონის გამომწვევი, რის გამოც თვითმფრინავის გაფრენა ვერ მოხერხდა.

ვითარებაში გარკვევის შემდეგ ოთხმა მოხალისემ მძიმეწონოსანმა მამაკაცმა დატოვა თვითმფრინავი და ჟენევაში შემდგომი რეისით გაფრინდა, შექმნილი უხერხულობისთვის თითოეულმა 100 ფუნტი მიიღო.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მიხეილ ვარლამის ძე წასიძე**

პანაშვიდი: 29 და 30 იანვარს;
გამოსვენება: 31 იანვარს 14 საათზე
მის: წერეთლის გამზირი №77 მეხუთე კორპუსი ბინა 10

მეუღლე მაია, შვილები დავითი, მარიამი, დები გულნაზი, მელსი, სიძე რამაზ ჭელიშვილი, დისშვილები შოთა, გიორგი ფანჯავიძეები იუწყებიან

**ალექსანდრე (საშა) დავითის ძე სილაგაძის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 30 იანვარს.
დაკრძალვა: 31 იანვარს, 14 საათზე.
მისამართი: დიდი დიღომი, პეტრიწის 9ა.

## ზაალ წილოსანი



წავიდა ამქვეყნიდან კიდევ ერთი ლანჩხუთელი, კინტიკარელთა საძმოს შესანიშნავი წარმომადგენელი ზაალ წილოსანი.

ის ხომ ლანჩხუთელების კოლორიტი პიროვნება იყო. მისი სიყვარული და იუმორი არა მარტო მის ოჯახს, არამედ მთელ სანათესაოს, სამეგობროს და სადაც კი გამოჩნდებოდა, იქაც კი გადასწვდებოდა, რომელიც განუმეორებელ კეთილ გავლენას ახდენდა მათზე. მამა ზეციერმა დააჯილდოვა იგი იუმორის გრძნობით. ის იმ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული კაცი იყო, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე შეყვარებული იყო სამშობლოსა და გარშემომყოფთა მიმართ. მასთან სიახლოვე ყველას სიამოვნებას ანიჭებდა. იგი შემაკავშირებელი იყო თბილისში ფეხმოკიდებულ ლანჩხუთელთა და უშუალო ლანჩხუთელებს შორის.

წავიდა და დაგვიტოვა ბევრი სასიამოვნო მოსაგონარი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

*მეგობრები*

## საშა (ალექსანდრე) სილაგაძე



უდროოდ გამოაკლდა მის საყვარელ ოჯახსა და მრავალრიცხოვან სამეგობროს. იგი მარად მომღიმარე, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული კაცი ანდამატივით იზიდავდა ადამიანებს. ყოველთვის მათი ყურადღების ცენტრში იყო, ანიჭებდა მეგობრობის და თანადგომის სტიმულს. მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული ბატონი საშა გამორჩეულად გვიყვარდა და პატივს ვცემდით. მისგან განშორება ღრმა გულისტკივილს იწვევს და უდიდეს სიცარიელეს ტოვებს მეგობრების გულებში.

ბატონი საშა დაიბადა 1946 წელს მარტვილის რაიონის სოფელ ნაგოზავოში. საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა მათემატიკოსის კვალიფიკაციით და მუშაობა დაიწყო გამოთვლითი მათემატიკის კვლევით ინსტიტუტში. ცნობილი მათემატიკოსის, პროფესორ დავით კვესელავას მზრუნველობით იგი მივლინებული იყო ასპირანტურაში ქ. მოსკოვში, სადაც წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ბატონი საშა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვადასხვა წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე, ტექნიკურ უნივერსიტეტსა და აგრარულ უნივერსიტეტში. მან ყველგან თავისი უანგარო მოღვაწეობით მოიპოვა უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული როგორც კოლეგებში, ასევე სტუდენტ-ახალგაზრდობაში.

უფალი დალოცავს და აცხონებს საშა სილაგაძის უმანკო სულს, რომელიც ამშვენებდა მის ამქვეყნიურ ცხოვრებას და მის პიროვნებას ანიჭებდა ჭეშმარიტ მიმზიდველობას.

***მეგობრების სახელით, ტარიელ კვიციანი, კახმეგ კუდავა, როლანდ გაჩეჩილაძე, ოთარ ჭკადუა, ჯემალ როგავა***

ქ.თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის კ.ფოცხვერაშვილის სახელობის მე-7 ხელოვნების სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სკოლის ყოფილი პედაგოგი

**ლია აკბარდია**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 30 იანვარი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ „ოსურ „სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.40 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 17.00 „გურმანია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ„სისხლი და ვარდი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „სი-ბემოლი„ 23.40 მხ/ფ „შეუპოვარი„ (ჰ. ფორდი) 02.00 დ/ფ„ახალგაზრდული სული„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 16.00 დ/ფ„თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 3 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა– 4„ 14.45 სერ. „24– 4„ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.40 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.მხ/ფ. „სვანი„ (დ.ხარშილავა) 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.00 მხ/ფ. „ნიუ იორკის ბანდები„ (დ.დეი-ლუისი) 03.45 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „მამლუქი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად. 5 11.00 დოკ/ფ „ქვის დედაენა-ოშკი„ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ანიტა რაჭველიშვილი 14.50, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „კვალი ნათელი„ 16.45 კვირიაკე 18.05 ტელეზღაპარი 18.15 დეკორატიული ფლორა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „განცხადებული სასწაულები„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ხარება და გოგია„ I ნაწ. 02.05 ირაო




**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 იანვარი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6602 |
| ევრო | 2,2308 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6870 |
| რუსული რუბლი | 0,0553 |

**ამინდის პროგნოზი 30 იანვრისთვის**





## „ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები






## მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

# ილია II

## ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი


# კოტე მარჯანიშვილის მემუარები საჯაროა

საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ახალი პროექტის „ქართული კულტურის ოქროს ფონდი“ პრეზენტაცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც გამომცემლობა „გუმბათმა“ წარადგინა პირველი ტომი, რომელიც კოტე მარჯანიშვილს მიეძღვნა.




ეკა ირემაშვილი

წიგნში შეტანილია კოტე მარჯანიშვილის მემუარები და მისი ცხოვრების უცნობი დეტალები. გამოცემა ჟურნალ „სარკესთან“ ერთად გაიყიდება. პრეზენტაციაზე თავი მოიყარეს ქართული კულტურის წარმომადგენლებმა, რეჟისორებმა, თეატრმცოდნეებმა და კოტე მარჯანიშვილის შემოქმედების გულშემატკივრებმა. როგორც პრეზენტაციაზე მუზეუმის ხელმძღვანელმა განაცხადა, ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც ფართოდ გაილო მუზეუმის სიძველეთასაცავის კარი და უნიკალური არქივი ფართო საზოგადოების წინაშე იქნა წარმოდგენილი.

**გიორგი კალანდია, თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის დირექტორი:**

– როცა ამ სასახლეში შემოხვედით, თითოეულმა თქვენგანმა გამოიარეთ ე.წ. უკვდავების თალი. კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი სიტყვებია, რომ ხელოვნებაა თავად უკვდავება და მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი. თავად ბატონ კონსტანტინესაც არ ეწია სიკვდილი, საბედნიეროდ და ეს არის პროექტი, როცა ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი. ამ პროექტით კოტე მარჯანიშვილი ხელმეორედ გაცოცხლდა და დაბრუნდა საქართველოში. ასე გაცოცხლდებიან ამ პროექტის ფარგლებში მიხეილ ჭიაურელი, სანდრო ახმეტელი და სხვა ქართველი კორიფეები. მოგეხსენებათ, ქართული თეატრის ფუძემდებელი არის გიორგი ერისთავი, წელს მისი დაბადებიდან 200 წელი სრულდება. მის გარეშე ქართული თეატრი წარმოუდგენელი იქნებოდა. მეგონა, რომ გიორგი ერისთავის შესახებ ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით მის შესახებ. უამრავი დოკუმენტი გიორგი ერისთავის პირადი თუ შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ უცნობია. როცა ამ თემაზე ბატონ სოსოს ვესაუბრე, ის ერთი წუთით არ დაფიქრებულა და ჩვენ მასზე გამოვცემთ ამ პროექტის ეგიდით წიგნს. ჩვენ ძალიან ტრაგიკულ მდგომარეობაში ვართ. ტაძარში, სადაც გიორგი ერისთავი განისვენებს, ჩვენ არ შეგვიძლია მივიდეთ და პატივი მივაგოთ მას. ვფიქრობთ, გამოვცეთ გიორგი ერისთავის ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე წიგნი და ეს იქნება ძალიან დიდი საქმე.

***– ვინ მოხვდებიან პროექტში „ქართული კულტურის ფონდი“?***

– ამ უნიკალურ სასახლეში, ამ უნიკალური საგანძურის თაღებ ქვეშ, უნიკალური პროექტი დაიწყო. საქართველოს ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა გამომცემლობა „გუმბათმა“ ძალიან საინტერესო და ავტორიტეტულმა ჟურნალმა „სარკემ“ უპრეცედენტო პროექტი დაიწყეს. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ასეთმა დიდმა საცავმა ასე ფართოდ გაალო თავისი კარი და ყველაფერი ის, რაც ჩვენთან ინახება, ის ინტელექტუალური ცოდნა, ფართო სამსჯავროზე გამოიტანა. ეს არის 46.000-ზე მეტი უნიკალური დოკუმენტი ქართული თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის შესახებ, ეს არის ის უკვადავი სახელები,


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

## ასტროპროგნოზი 30 იანვრისთვის

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რომელიც კარგად გამოგდით. **ტყუპები** – ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია მოინდომოთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ქალწული** – საკითხის შესწავლის შემდეგ სათანადო დასკვნას გამოიტანთ. **სასწორი** – ბედი გწყალობთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, საქმე მოიცდის. **მშვილდოსანი** – შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, გახარებული ხართ. **თხის რქა** – აქტიურობთ და საქმეც წინ მიდის. **მერწყული** – ფული გაქვთ, საყიდლებზე წასვლა სწორედ რომ დროულია. **თევზები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერს მოაწესრიგებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ესპანელი ფერმწერი; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 5. სამრეწველო საწარმო; 6. კვიპროსის დედაქალაქი; 11. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 13. სამხრეთ ამერიკის აღმომჩენი იტალიელი ზღვაოსანი; 14. მხატვრულ ფილმ „დავით გურამიშვილის“ დამდგმელი კინორეჟისორი; 15. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 17. დიდი სპორტული შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 18. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული მუქი ყავისფერი, ძვირფასბეწვიანი პატარა ცხოველი; 19. ტოკიოს ძველი სახელწოდება.

**თარაზულად**: 7. მეფის სიგელი; 8. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 9. კინოს ძველი სახელწოდება; 10. გეომეტრიული ფიგურა; 12. გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი მეტალურგიაში; 14. პოლიგრაფიული საწარმო; 16. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. აშშ-ს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი; 20. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 21. ელექტროობის წინაალმდეგობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. ბუნებრივი წყალვარდნილი; 23. ბერძნული ყველი; 24. ერთადგილიანი საცირკო ველოსიპედი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# ნიდერლანდების დედოფალი სამეფო ტახტზე უარს ამბობს



ნიდერლანდების დედოფალმა ბეატრიქსმა საკუთარი ვაჟის ვილემ-ალექსანდრეს სასარებლოდ ტახტიდან გადადგომის შესახებ გამოაცხადა. ხალხისადმი მიმართვაში დედოფალმა განაცხადა, რომ მისი ვაჟი მეფე 30 აპრილს გახდება. ბეატრიქსი, რომელსაც მალე 75 წელი შეუსრულდება, ნიდერლანდების დედოფალი 1980 წელს გახდა. დედოფლის თქმით, ტახტიდან გადადგომაზე რამდენიმე წელიწადია ფიქრობდა. მისი თქმით, „ახალი თაობის დრო მოვიდა“. დედოფალმა დაამატა, რომ მისი ვაჟი მეფედ გახდომისათვის მზად არის. პრინცი ვილემ-ალექსანდრე 45 წლის არის, მას მეუღლე და სამი ბავშვი ჰყავს. ვილემ მესამეს შემდეგ ის პირველი მამაკაცი იქნება, რომელიც ნიდერლანდების სამეფო ტახტზე ავა. 1890 წლიდან მოყოლებული ეს ადგილი დედოფლებს ეკავათ.

ბეატრიქსი (დ. 31 იანვარი 1938) ნიდერლანდის დედოფალია ორანულ-ნასაური დინასტიიდან. 1966 წელს იქორწინა კლაუს ფონ ამსბერგზე.

ბეატრიქსმა განათლება ლეიდენის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც სწავლობდა სოციოლოგიას, ეკონომიკას, და სახელმწიფო სამართალს. არის იურიდიული მეცნიერებების დოქტორი.

გ. მ.

# ჟაკ როგე ოლიმპიურ კომიტეტს ტოვებს

12-წლიანი პრეზიდენტობის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგე აცხადებს, აღარც არჩევნებში იყრის კენჭს და არც თანამდებობის დატოვების შემდეგ გააგრძელებს მუშაობას ორგანიზაციაში.

– მე დავტოვებ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ახალი პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ. შემეძლო, მომდევნო ათი წლის განმავლობაში კომიტეტის წევრად დავრჩენილიყავი, მაგრამ ეს ძალიან გრძელი გზაა. მიმაჩნია, რომ ახალ პრეზიდენტს გარემოცვაში ძველი ხელმძღვანელი არ სჭირდება. მჯერა, რომ მე მომიხსენიებენ პრეზიდენტად, რომელმაც თავისი საქმე გააკეთა. მიმაჩნია, რომ საკმარისი გავაკეთე, მეტად მკაცრი ვიყავი დოპინგთან ბრძოლის საქმეში, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისთვის დავაარსე იუნიორთა ოლიმპიური თამაშები... ჩემი პრეზიდენტობის დროს ჩატარებული ყველა ოლიმპიადა, სოლტ-ლეიკ-სიტიდან დაწყებული და ლონდონით დამთავრებული, ყველაზე მაღალი ხარისხისა იყო, თუმცა ეს კოლექტიური ძალისხმევის შედეგი გახლდათ, – განაცხადა როგემ.


edichini/AP

მ. ჟ.